# სახალხო გაზეთი

№ 761 ხუთშაბათი, 29 ნოემბერი 1912 წ. № 761

**განცხადების ფასი:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



## პაპიროსები „გალლეია" ამხ. „კომეტა"

25 ც.—15 კ. 10 ც.—6 კ.

ქ. ტფილისი. 1574

---

## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის" მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**

---

## სახალხო გაზეთი სურათებიანი დამატებით

მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

1 გიორგობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 1 მ. და 50 კ.

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი" ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისსათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.

გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.

რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**

დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.

---

ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** ტელეფ. № 795.

ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,

## ქ-ნ ელ. ჩერქეზიშვილის საბენეფისოდ

ქართული დრამატ. საზოგად. დასის მიერ წარმოდგენ. იქნება: **ვასილ ალ. აბაშიძის** მონაწილეობით

პირველად ქართულ სცენაზე ორიგინალური პიესა **ბედოვლათი,** პიესა 4 მოქ. დ. ნახუცრიშვილისა.

**მაკას როლს შესრულებს ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.**

2) **დედის ერთა,** მხიარული ვოდევილი 1 მოქ. ვ. გუნიასი, **კნ. რიფსიმეს როლს შესრულებს ქ-ნი ელ. ჩერქეზიშვილისა.**

ონაწილეობენ: ქ-ნნი: აბაშიძე, ლოლუა, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი: აბაშიძე, აბდუშელი, ალექსიძე, გუნია, გედევანოვი, ზარდალიშვილი, მესხი, მატარაძე, მგალობლიშვილი, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.

**დასაწყისი საღ. 8 საათზე.** ადგილ. ფასი საბენეფისოა.

**ანონსი:** კვირას, 2 დეკემბ., წარ. იქნება 1. „სიმახინჯე", დრ. შიუკაშვილისა; 2. „უბედური დღე", მხიარ. ვოდ. ვ. ბალანჩივაძისა.

1578 რეჟისორი **ვალ. შალიკაშვილი,** ქართული დრამატ. საზოგად. ადმინისტ.

---

**კ. ი. ზუბალაშვილის სახ. ქალაქის სახალხო სახლი**

**ხუთშაბათს, 29 ნოემბერს,** ქართ. ს. ხ. წარ. მმართვ. წრის მიერ გამართულ იქნება

**კ. გ. ფოცხვერაშვილის** უკანასკნელი

## ქართული სახალხო კონცერტი.

შესრულებულ იქნება კ. ფოცხვერაშვილის ახალ ქართულ ოპერიდან (**კერპთა დამხობა**) სოლოები, ხოროები და სიმფონიური ნომრები. გაძლიერებული **ქალ-ვაჟთა გუნდი** „ახალ კლუბის" **ორკესტრთან** ერთად შესრულებს კ. ფოცხვერაშვილის მიერ ახლად შემუშავებულ **ქართულ ეროვნულ სიმღერებს.** სიმფონიურ განყოფილებაში ორკესტრი შესრულებს სხვა პიესათა შორის **კ. ფოცხვერაშვილის** სიმფონიურ ესკიზს „**თქმულება ამირანზე**". მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მომღერალი ქალი **ქ-ნი პრესინსკისა.** დაწვრილებით აფიშებში. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგილების ფასი 5 კ. 1 მ.

**ლოტბარი კ. გ. ფოცხვერაშვილი,** **წრის ადმინ.**

**ანონსი:** 4 დეკემბერს წარმოდგენილ იქნება „უმუშევარნი". 1499

---

**ქართული თეატრი**

**ორშაბათს, 10 დეკემბერს 1912 წ.**

**„ტფილისის ქართ. საამხანაგო მომღერალ-მგალობელთა გუნდი"**

(დაარსებული 1910 წ.)

**მიხეილ კავსაძის** ლოტბარობით გამართავს

## დიდ ქართულ კონცერტს

(**ახალი და საინტერესო პროგრამით**).

გუნდი შემდგარია 40 კაცისაგან და საკუთარ ახლად შეკერილ ქულაჯებში და გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს როგორც ჩვენს ხალხურ სიმღერებს, ისე ბ-ნ **რატილის** მიერ გადაღებულ ევროპიულ სიმღერებსაც. ✦ **ფასები დაკლებულია.**

**ბილეთები იყიდება:** ნიკ. ჭრელაშვილთან, ნოე ლეჟავასთან და ნიკ. კავსაძესთან. დაწვრილებით პროგრამებში და აფიშებში. 831

---

✦ **გამოსულია და იყიდება** ✦

## ნ. შიუკაშვილის

პიესა „მემამულე", დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

---

**მიიღება ხელის მოწერა 1913 წ.**

ნახატებიან საყმაწვილო ჟურნალ

## „ნაკადულ"-ზე.

**წელიწადი მეცხრე.**

გამოვა ჩვეულებრივი პროგრამით, საგანგებოდ არჩეულ სარედაქციო კომისიის ხელმძღვანელობით.

**ორი გამოცემა:**

მცირე წლოვანთათვის 24 წიგნი
მოზრდილთათვის . . 12 წიგნი

ეღირება წლიურად 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., ცალკ-ცალკე თვითო გამოცემა 3 მ., საზღვარ-გარედ 7 მ.

წლიური ხელის მომწერნი მიიღებენ საჩუქარს.

ხელის მოწერა მიიღება „ნაკადულის" რედაქციაში, გოლოვინის პროსპექტ. 8, და აგენტებთან. 1591

---

„ახალი კლუბის" **მამასახლისთა საბჭო**

აცხადებს კლუბის წევრთა და მუდმივ სტუმართა საყურადღებოდ, რომ

**1913 წ. საწევრო ბილეთების განახლების ვადა**

**განისაზღვრება 20 ქრისტეშობისთვემდე** 1912 წ.

ბილეთები მიეცემა „ახალი კლუბის" კანტორიდან ყოველ დღე დილის 10 საათიდან ნაშუადღ. 2 ს.-დე და საღ. 9 ს.-დან შუაღამის 12 ს.-დე. 1661

---

**შეიძლება დაკვეთა:**

## ილია ჭავჭავაძის თხზულებანი

**ექიმ მიხეილ გედევანიშვილის საგანგებო გამოცემა**

წიგნი დაიბეჭდება ძვირფას ქაღალდზე; ილიუსტრაციებით; ძვირფასი ყდით; შეიცავს დაახლოვებით 600 გვერდს; მოთავსებული იქნება ყველა

**ლექსი და ბელეტრისტული ნაწარმოები,**

(აგრეთვე ჯერ დაუბეჭდავიც); ჩაერთობა მგოსნის ვრცელი ბიოგრაფია და მისი ნაწარმოებების კრიტიკული განხილვა. ფორმატი in quarto.

**ფასი 8 მანეთი,** რომლის გადახდა შეიძლება სამ ნაწილად; 3 მან. ხელის მოწერისთანავე, 3 მ. ენკენისთვეში და 2 მ. გიორგობისთვეში. ვინც 100 ცალზე ნაკლებს არ გამოიწერს, 10% დაეთმობა. გასასყიდად წიგნი არ გამოვა. დამკვეთელთ წიგნები დაურიგდებათ 1913 წელში.

წიგნის დაკვეთა შეიძლება: ტფილისში, ყორღანოვის ქუჩა, № 20, ექიმ მიხეილ გედევანიშვილთან; და **წერა-კითხვის საზ. წიგნის მაღაზიაში.**

**ქუთაისში**—წ. კ. ს. მდივან იასონ ბაქრაძესთან და იოსებ ოცხელთან.
**ფოთში**—იონა მეუნარგიასთან. ✦ **თელავში**—თამარ აბაშიძესთან.
**სამტრედიაში**—ბ. ი. სტურუასთან. ✦ **ხონში**—ეფროსინე ჭიჭინაძესთან.
**სიღნაღში**—ექ. ჯანდიერთან. ✦ **ბაქოში**—ილია აგლაძესთან.
**სოხუმში**—ნიკო თავდგირიძესთან. ✦ **ოზურგეთში**—ექ. დიმ. ერისთავთან.
**ჭიათურაში**—წ. კ. გ. ს. ირ. დეკანოზიშვილთან. ✦ **ერევანში**—ელენე ვირსალაძესთან
**ბათომში**—ს. მდივანთან. **კავკავში**—სოფიო კალანდარაშვილთან.
**გორში**—ნიკო ლომაურთან. **ახალციხეში**—როზალია ალელიშვილთან

**ვინც წიგნის დასაკვეთად ფულს ფოსტით თვით გამომცემლის სახელზე გზანის, მათთვის გასამართლებელ საბუთად საკმარისია თვით ფოსტის კვიტანცია.** 1153

---

## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ახლად გადაკეთების შემდეგ, ავადმყოფები მიიღებიან ძმენიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და მეტეხის სასტუმროს ახლო.**

**ტელეფონი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | **დადიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მაღლაშვილი გ. გ.** (სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული სნეულებანი. | **მარკევიჩი გ. ლ.** კონსულტანტი (ყოველ-დღე 11½—12½.)<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ქალთა და საშოსნ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულბკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1. |
| ბავშვთა სნეულებ. | **ექ. ქალი ბაქრაძე-დედაბრიშვილისა** (ყო დღე, გარდა ოთხ.) 1—1½ ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. და ელექტ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) 10½—11.<br>**დადიანი რ. ხ.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ფონდოევი, გ. ს.** (ყოველ-დღე) 1—2 ს. |
| ყურ., ყელ. და ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 12½—1½<br>**ტრემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) 2½—3. |
| თვალის სნეულ. | **მუსხელიშვილი გ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½. |
| კან. და ვენ. | **დიასამიძე ა. ნ.** (ყოველ დღე) 1—1½. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათამანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606" „914" და **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილისა ცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.

---

## ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში

**ისყიდება შემდეგი წიგნები.**

ი. გოგებაშვილისა ბურჯი ეროვნებისა . . . . . . 20 კ.
„ რჩეული პედაგოგიური და პუბლიცისტური წერილები 1 მ.
„ საარაკო თავ-გადასავალი ტახტის მემკვიდრისა . 10 კ.
„ ქართველთა მეფე გლეხის ქოხში სტუმრად . . 5 კ.
„ Методическое руководство для учителей и учительниц 40 კ.
გაბაშვილი ეკ. თხზულებანი 1 მ. 20 კ.
გულივერის მოგზაურობა . 30 „
ერისთავი რ. თხზულებანი წ. II 40 „
თხზ. ვაჟა-ფშაველასი. . . 1 მ. —
ვეფხის ტყაოსანი . . . . 60 „
კრილოვის არაკები . . . 50 „
კლდიაშვილის მოთხრობანი 30 „
ნაწყვეტები პოლ. ეკონომიიდან 50 „
რუს.-ქართ. ლექსიკონი ჩუბ. 2 მ. 40 „
რობინზონ კრუზო . . . 30 „

**ახლად მიღებული წიგნები:**

Къ Матеріаламъ по исторіи и древн. Грузіи и гос. Джанашв. 1—25
Крестьянск. вопросъ въ Закавказьѣ Аваліани . . 2—50
О древне-грузинскихъ лѣтописцахъ XI стол. Какабадзе . 35 „
Кавказскіе депутаты въ 3-ей Гос. Думѣ . . . . . 50 „
შავი ქვა. წუწუნავასი. . . 10 „

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.

---

**ქარხნის მარკა**

## კონიაკი და ლიკორი ს. ს. შამრიარსკისა

ტფილისი ელისაბედის ქუჩა № 166. 1570

---

**დოქტორი მედიცინისა** ბერლინის უნივერს. **გ. გ. მეგრაბიანცი**

**წამლობა ჭლექისა.** ფილტვებისა, ძვლებისა, და სხვა ორგანოთა **ტუბერკულინ** შინაგან სნეულებით ავადმყ. წამლობა კიდევ რადიისა და ელექტრონის პრეპარატებით. იღებს ყოვ.-დღ. **ახალ ბინაზე** დილ. 9—12 ს. და საღამ. 5—7 საათ. ადრესი: **სოლოლაკი,** ბებუთოვის ქ., № 23 (განოვის ქ. კუთხ.). **ტელეფ. 7—92.** 777

---

## საგურთალოზე

**მშვენიერ ალაგას,** ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის პირდაპირ ახლოს დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.

მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს,** დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 1020

---

**ნაფიც-ვექილ. თანაშ.**

## გიორგი პავლეს ძე გორდეზიანი

**გადავიდა** ჩერქეზიშვილის ქუჩაზე (ავჭალის ქუჩა), № 47. 829

---

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. 9½ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—11½ ს.

**ბ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—11½.

**ექ. ქალი იოსელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით ხუთშაბათობით და შაბათობით 11—11½ საათ.

**ნ. მ. მელიქიშვილი** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,

**წამლობა „606"-ით.** 1018

---

**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ძაჯაია**

იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე 1049

---

## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქის დი. ქ.-ზე, № 3, ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი № 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**ასპისოვი.** ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე. 1—2 საათამდე.

**არგუთინსკი,** შინაგ., ბავშვ. ყ.-დღ. 10 ს 1½ ს.

**ახვლედიანი** შინაგან სნეულ. საბავშ. სამშაბათ. ხუთშაბათ. შაბათ. საღამოს 4—5 საათ.

**ბოჟოვსკი.** შინაგ. საბავშ. ორშაბ. ოთხშაბ. პარასკებ. საღამ. 4—5 ს.

**მონსე.** ბავშ. და შინაგ. ავად. ორშ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 საათ.

**ნოვიცკი.** ქალთა ავად., ყ.-დ. 1—2 ს,

**კალამკაროვი.** ქალ. ავად. ყ.-დღ. 12—1 სათ.

**უკლადნიკოვი.** შინაგ. ავად. სამშ., ხუთშაბ. 4—5 საათ.

**თეთრაძე.** სიფ., ვენერ., კან. ყ.-დ. 1—3 ს.

**ჩუდნოვსკი ი.** ნერვ., სულ., ელექტროტერაპია, ყ.-დღე გარდა კ.-უქმისა 11½—12½

**რუდენკო.** შინაგ. ავად. კონსულტანტი ხუთშ., კვ. 3—4 ს.

**ვესელოვზოროვი** ქირურგ. ავად. ყოველ დღე, გარდა კვირ. დღ., 3—4 საათ.

**ერმოლაევი**—ბავშვ., შინაგან. ყ.-დღ. 1-2 ს.

**იოსელიანისა** ქალ. ავად., ორშ. ოთხშ., პარასკ., კვირ. 11—12 საათ.

**ბესსერი** შინაგ., ნევრ.-ავადმ. — სამშ., ხუთშ., შაბ. კვ. 2—3 ს.

**ბაგდოევისა,** კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.

**ლიმონი.** კბილ. ყ.-დღ. 11—12 ს.

**შამაში,** ქირურგ. ავადმყ. ყ.-დღ., კვ. გარდა 1½ 2½ ს.

**კუნთებში შეუშხაპუნებენ და ძარღვებში შეუშვებენ „606"-ს საღამოს 5—7 საათამდე.**

კონსულტანტი ხირურგ. ავადმყ. დამსახურ. პროფეს. საიმპერ. სამხ. მედიკ. ავად. პროფ. მ. ს. სუბოტინი ორშ., ხუთშ. 3—4 საათ., წინადაწინვე ჩაწერით. 366.

---

**ელექტრონისა და რენტგენის სამკურნალო**

## მიხ. გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ № 20. წ. 1022

---

**ექიმი შ. ა. მიქელაძე** იღებს **შინაგან და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6½ საათ. კახეთის ქ., № 6.

---

**ექიმი ალ. სოლოღაშვილი** იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 4—5 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334

სამტრედიაში

**ექიმი** ი. ქ. აბულაძე ჩამოვიდა და იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე. აგრეთვე **სწამლობს 606-ით.** 1576

**ექიმი** ს. ი. გაძელიშვილი იღებს ავადმყოფებს შინაგან და ვენერიულ ავადმყოფებს, დილით 9—12 ს. და საღამოს 6—8 ს. დიდუბეზე, საბურთალოს ქუჩ. № 21, სახლი ხრამელაშვილისა. 1411

**ექიმი** ქალი ნინო რცხილაძე იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლღას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა.

**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3. ს. გაბაშვილისა.

**ექიმი** ი. ქ. აბაკელია იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს $4^{1}/_{2}$—$6^{1}/_{2}$ საათ. ელისაბედის ქ. № 7, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ. 789

**ექიმი** ქალი დ. ზ. საყვარელიძე. იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბავშვო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5 6 საათამდე. კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.

**ექიმი** ი. ი. ბერიშვილი სწამლობს საშარდე ორგანოთა, **ათაშანგისა** და **კანის** ავადმყ.; **ესხერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^{1}/_{2}$ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 9½, სადოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530

**ექიმ** ი. ი. ჯაში **განაგრძობს** ავადმყოფ. მიღებას დედათა და სადოსტაქრო ავადმყოფ. ექიმობა ბავშვების ძვალთა ქლექისა ფიზიკურ-მექანიკურ საშუალებით. დილის 11—1 ს. საღ. 5—8 ს. დიდი ვანქის ქ. № 6. ტელეფონი 1107. 791

**ექიმი** პ. არდაზიანი შინაგან და ბავშვებ. ავადმყ (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმი-ქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—12 ს. საღამ. 5 7. 10 5.


# კახეთის რკინის გზის გარშემო.

(ბ-ნ გ. გვაზავას წერილის გამო.
(დასასრული *)

პირველი და უმთავრესი საბუთი, რომელიც ბ-ნ გვაზავას მოჰყავს და რომლისთვისაც მეტი ყურადღება უნდა მიექცია, თუ რამის დამტკიცება უნდა, ის არის, რომ კახეთის რკინის გზა საზარალო იქნებაო. როდესაც ასეთს მოსაზრებას გამოსთქვამს ადამიანი, უსათუოდ ვრცელის საბუთითა და ციფრებით უნდა დაამტკიცოს, რომ კახეთის რკინის გზა მართლა საზარალო იქნება. ამისთანა ტვირთს ბ-ნი გვაზავა არა კისრულობს. კომპეტენტიური პირნი ამბობენ, ეს ასე იქნებაო. ჩვენ კიდევ შეგვიძლიან მოვახსენოთ ბ-ნ გვაზავას, რომ არა ნაკლებ კომპეტენტიური პირნი ამბობენ, რომ ეს მოსაზრება მართალი არ არის. ცარიელის თქმით თუ რამე დამტკიცდება, მაშინ ეს ჩვენი განცხადებაც მხედველობაში მიიღეთ. მაგრამ „კომპეტენტიურ" პირთ, ვინაიდან ისინი ჯერ საიდუმლოებით არიან მოცულნი, თავი დავანებოთ. რა პასუხს აძლევს ბ-ნი გვაზავა მთავრობას, რომელიც კახეთის რკინის გზის კონცესია გარანტიად მისცა კონცესიონერებს? არა გვგონია, მთავრობა იმდენად დაბრმავებული იყოს, რომ თავისთვის საზარალო საქმე გარანტიით უზრუნველჰყოს. მაგრამ ამასაც თავი დავანებოთ. თვით ეს გარანტია ხომ არსებობს? გარანტია რის გარანტიაა, თუ კახეთის რკინის გზის პატრონები რაოდენადმე მაინც არ იქნებიან უზრუნველყოფილნი? ყველა ეს ისეთი საკითხებია, რომელთა გამორკვევა საგაზეთო წერილში შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც ბ-ნ გ. გვაზავას არ უნდა ეკისრა ასეთი მოსაზრების წარმოთქმა და, თუ საკითხი აინტერესებდა, წინდაწინვე, სანამ ყველაფერი გათავდებოდა, გამოერკვია, მართალია ყველა ეს თუ არა, კახეთის რკინის გზა მართლა საზარალოა თუ არა, ან ბატონ-პატრონობა ამ კამათისა მავნებელი იქნებოდა ადგილობრივ ინტერესებისთვის თუ არა.

დღეს კი ასეთს მტკიცებას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს, ვინაიდან კახეთის რკინის გზის ბედ-იღბალი, ჩვენის აზრით, გადაწყვეტილად უნდა ჩაითვალოს.

მკითხველის ყურადღება გვინდა მივაქციოთ ერთს მოსაზრებაზე, რომელიც ბ-ნ გ. გვაზავას მოჰყავს და რომელიც გვავიქრებინებს, რომ ზოგიერთს შემთხვევებში მართლდება მარქსისტული დებულება: „მდგომარეობა ჰქმნის შეგნებას". ბ-ნი გ. გვაზავა სცდილობს დაგვიმტკიცოს, რომ კახეთის რკინის გზის პატრონობა, იმ შემთხვევაშიაც კი, იგი რომ საზარალო არ იყოს, არაფერს სარგებლობას არ მისცემს ადგილობრივ მკვიდრთ მოსამსახურეთა დანიშვნის საქმეში.

უმაღლეს მოსამსახურეთ, თვით წესდების ძალით, მთავრობა ნიშნავსო, ბრძანებს ბ-ნი გ. გვაზავა, დაბალ მოსამსახურეთა დანიშვნა კი ცოდნასა და გამოცდილებაზე ჰკიდიაო. ვითომ, ბ-ნო გვაზავა? დაბალ მოსამსახურეთა დანიშვნაში თქვენ სხვა ვერარავითარ დაბრკოლებას ვერა ჰხედავთ? ჩაფიქრდით, რას ამბობთ! გულზე ხელი დაიდეთ და ისე მოიგონეთ მრავალი მაგალითი. სინეკურა წარმოუდგენელია ისეთს საქმეში, სადაც მთავრობაც კისრულობს განსაზღვრულ პასუხისმგებლობასაო. რა მოსატანია აქ სინეკურა? ნუ თუ ის, ვისაც საჭიროდ მიაჩნია ადგილობრივ საქმეებსა და დაწესებულებებში გავლენის მოპოვება, მხოლოდ სინეკურების შექმნაზე ოცნებობს? ნუ თუ სხვა არავითარი მოსაზრება არ არსებობს? შეიძლება მდგომარეობა ჰქმნიდეს შეგნებას, მაგრამ არა გვგონია ამ ჟამად ისეთი მდგომარეობა არსებობდეს, რომ ჭკვიანსა და დაკვირვებულ ადამიანს ამნაირად გადაუყიროს აზროვნება.

მაგალითებისთვის შორს არ წავალთ. მოიგონოს ბ-ნმა გ. გვაზავამ ვარშავა-ვენის რკინის გზის ამბავი, მოიგონოს ის ალიაქოთი, რომელიც ამ რკინის გზის ბედ-იღბალმა გამოიწვია სახელმწიფო სათათბიროში, მოიგონოს, რით ხელმძღვანელობდა ფინანსთა მინისტრი კოკოვცევი, როდესაც შეჰქონდა კანონ-პროექტი ვარშავა-ვენის რკინის გზის გამოსყიდვის შესახებ, და დარწმუნდება, რომ შეიძლება ადამიანს სხვა, უფრო საპატიო მოსაზრება ჰქონდეს რკინის გზის პატრონობის შესანარჩუნებლად, ვიდრე სურვილი სინეკურების შექმნისა.

ამით შეგვეძლო გაგვეთავებინა ჩვენი წერილი, მაგრამ საჭიროდ მიგვაჩნია ცოტა ხანს კიდევ შევჩერდეთ ბ-ნ გ. გვაზავას წერილის დასასრულზე.

ბ-ნი გვაზავა ირონიულად იხსენიებს თავ. ჩოლოყაშვილის აზრს, მორალურ ზედ-გავლენას მოვახდენ ბანკზეო. საირონიო აქ არაფერია, თუმცა, მართლაც, შემცდარი იქნება თავ. ჩოლოყაშვილი, თუ მორალურის მოსაზრებებით მოინდომებს ლაპარაკს იმათთან, ვისაც ერთადერთი საზომი აქვს: ფული. შემცდარი იქნება თავ. ჩოლოყაშვილი, მაგრამ განა წარმოსადგენია ისეთი კილო, რანაირითაც გაჟღენთილია ბ-ნ გ. გვაზავას წერილი? ამნაირი კილოთი შეიძლება ილაპარაკოს მხოლოდ მტერმა, რომელსაც სუსტი მოწინააღმდეგე კლანჭებში მოუგდია, იცის, რომ გასაქანი არსაით აქვს, და დასცინის... დასცინის როგორც მოხერხებული და ცხოვრებაში გაქნილი. საინტერესოა ბ-ნ გ. გვაზავას ძირითადი მოტივი: თქვენ ვერ უზრუნველჰყავით თქვენი უფლება, ახია თქვენზე, იწვნიეთ შედეგებიო. ამ მოტივის გასაძლიერებლად მოჰყავს ზ. ავალიშვილის წერილიც, რომელშიაც ეს უკანასკნელი ატყობინებს თავად-აზნაურობას, წარმომიდგინეთ კომერციულ ხასიათის საბუთები თქვენი აზრის დასაცავად, სხვა გზა მე არა მაქვსო.

ეხლანდელი მდგომარეობა ამ საკითხისა, მართლაც, ისეთია, რომ მორალურ ზედგავლენით ვერარაფერს გაჰხდები. ბანკი დღეს რკინის გზის პატრონია და მოიქცევა ისე, როგორც თითონა ჰსურს. არც არსებობს ისეთი ინსტანცია, სადაც თავად-აზნაურობას განსაჩივრება შეეძლოს. ასეთი საკითხები ადმინისტრატიულ მართვა-გამგეობის წესებით მიხედვითა სწყდება. უმაღლეს მთავრობასთან განსაჩივრება სრულიად მეტია. იქ ერთი-ერთმანეთს დაუპირისპირდება ბანკების კომერციული და თავად-აზნაურობის ადგილობრივი ინტერესები. დიდი გამჭრიახობა არ არის საჭირო იმისთვის, რომ მიჰხვდეს ადამიანი, საითკენ გადაიხრება ამისთანა შემთხვევაში მთავრობის სიმპატიები. ასე რომ, მორალურის ზედგავლენის იმედი ნურავის ექნება. არსებობს ერთად-ერთი რეალური გზა, თუ ისიც, დაგვიანების გამო, უსარგებლო არ გახდა. თავად-აზნაურობამ უნდა ისარგებლოს თავისი უფლებით, შემოიტანოს 550 ათასი მანეთის აქციები, შეიქმნეს ფაქტიური პატრონი კახეთის რკინის გზისა და დაადგინოს: შეერთება არ გვინდა. თუ თავად-აზნაურობას ეს ვერ შეუძლიან, ცდა ტყუილ-უბრალოდ ჩაუვლის. ბანკებმა იციან, რ საც აკეთებენ, იციან საიდან, როგორის საშუალებით შეიძლება ფულის გამოწურვა, და მორალურ მოსაზრებათა წამოყენება ამისთანა შემთხვევებში მგლის თავზე სახარების კითხვა იქნება. კახეთისა და სიღნაღ-ბაქოს რკინის გზათა გაერთიანებას ბანკების კომერციული ინტერესები მოითხოვენ, და კიდეც მიაღწევენ თავიანთ მიზანს: მათი „ადგილობრივი ინტერესები" მათივე საკუთარი ჯიბეა.

არ. ჯ—შვილი.

*) იხ. „სახალხო გაზეთი" № 760.

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **მხცოვანი მგოსანი აკაკი** ტფილისიდან პეტერბურგს გაემგზავრა.

✦ ტფილისში დაბრუნდა საგანგებო ექსპედიცია, რომელიც სპარსეთის **მუღანში** იყო წასული იმ ადგილების გამოსაკვლევად, სადაც კალია ბუდობს. ექსპედიციის ხელმძღვანელი აგრონომი კალვეიტი ამ ჟამად ვრცელს მოხსენებას ამზადებს კალიასთან ბრძოლის შესახებ. მოხსენებას წაიკითხავს მომავალ იანვრის შუა რიცხვებისთვის დანიშნულ საგანგებო თათბირზე

✦ **ქალაქის ხარჯთ-აღრიცხვის** განხილვას ქალაქის საბჭო 7 დეკემბრიდან შეუდგება. განსახილველ საგანთა სიაში შეტანილ იქნება მხოლოდ ეს ერთი საკითხი. საბჭოს კრებები კვირაში ორჯელ დაინიშნება, ვიდრე ხარჯთ-აღრიცხვის განხილვა სრულიად არ დამთავრდება.

✦ **სიღნაღ-ბაქოს რკინის გზა.** ტფილისში მიღებულ ცნობებით, ვაჭრობა-მრეწველობისა და ფინანსთა სამინისტროები თანახმანი არიან, მიეცეს თავ. პ. ი. თუმანიშვილს კონცესია სიღნაღიდან ბაქომდე რკინის გზის გაყვანისა. ამ საკითხს მოკლე ხანში, მინისტრთა საბჭო განიხილავს, ხოლო შემდეგ სახელმწიფო საბჭოს მეორე დეპარტამენტს გადაეცემა.

✦ **ინჟენერი ლინდლეი,** რომელიც ბაქოში შოლარის წყალსადენს აგებს, ლონდონიდან ბაქოში ჩასულა და ტფილისსაც ესტუმრება მომავალ იანვარს.

✦ ქალაქის გამგეობამ შეუძლებლად სცნო სრულიად რუსეთის **საგიგიენო გამოფენაში** მონაწილეობის მიღება.

✦ **გორის ეპისკოპოსი ანტონი** ამ თვის დამლევს პეტერბურგს მიემგზავრება.

✦ **საქართველოს ეგზარხოსს** ტფილისში 22 დეკემბერს მოელიან.

✦ **მებამბეობა.** სომხურმა სამეურნეო საზოგადოებამ დაადგინა, აღძრას მიწათ-მოქმედების დეპარტამენტის წინაშე შუამდგომლობა, რათა საჭირო ფული გადასდოს მებამბეობის სამის ინსტრუქტორის მოსაწვევად.

✦ **1812 წლის ომის იუბილეს გამო.** საგენერალო შტაბის მთავარმა სამართველომ გამოაქვეყნა იმ პოლკების სია, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს სამამულიშვილო იუბილეში და რომელთა ჯარის კაცებს უფლება აქვთ, საიუბილეო მედლები მიიღონ კავკასიის პოლკებიდან. სიაში არიან: გრენადერთა მე-16 მინგრელსკი პოლკი, ტენგინისა, ნავაგისა, კურინისა, შირვანისა, ტვერისა და მე-52 საარტილერიო ბრიგადის მე-5 და 6 ბატარეია.

✦ ქალაქის გამგეობა შეუდგა იმის გამორკვევას, თუ რამდენი **საქალაქო მიწა მიუთვისებიათ** კერძო პირებს მადათოვის კუნძულზე.

✦ **პეტარდა.** 27 ნოემბერს, ღამის 10 ნახ. საათზე, შტაბის ქუჩაზე, ყუმბარის ხმის მსგავსი რამ გაისმა, რამაც ხალხს შიშის ზარი დასცა. ბოლოს გამოირკვა, რომ ვიღაც უცნობს ტრამვაის ვაგონისათვის პეტარდა დაედო, რომელსაც მეტად დიდი ხმა ჰქონდა. ჩქარა პოლიცია მოვიდა, მაგრამ დამნაშავე ვერ იპოვა.

✦ **„რუსულ რივიერი" გამოფენისთვის** ექსპონატების შესაკრებად შავის ზღვის მხარეს გაემგზავრა ბოტანიკოსი ი. ნ. ვორონოვი.

✦ 26 ნოემბერს სახელოსნო გამგეობაში **მამასახლისთა არჩევნები** მოხდა. ევროპიულ ტანისამოსის თერძთა მამასახლისად არჩეულ იქმნა ა. ნ. ნახაპეტოვი, ხოლო მექუდეებისა—ე. მაისურაძე.

✦ **ა. ნ. სილინი,** ტფ. სამოსამართლო პალატის ბრალმდებელი, ბათომიდან ტფილისს დაბრუნდა.

✦ **ფრენა.** მომავალ კვირას მფრინავი ქებურია კვლავ აპირობს გაფრენას. ბ-ნს ქებურიას აზრად ჰქონდა, დიდუბის საჯირითო მოედანზე გაფრენილიყო, მაგრამ ამისი ნება არ დართეს.

✦ მეფის მოადგილემ გაზეთ „დროების" ასოთ-ამწყობად ნამყოფ **ივანე მჭედლიშვილს**, რომელიც 1910 წლიდან გადასახლებული იყო დონის როსტოვში, ავადმყოფობისა გამო ნება დართო სამშობლოში ცხოვრებისა.

✦ **ქრისტიანობის აღმადგენელ საზოგადოების** საბჭომ დაადგინა: გადასდოს 300 მან. ბოდბის სკოლაში ქართულ ენის მასწავლებლის მოსაწვევად და 800 მან. ჯავის ეკლესიის მრევლისთვის სახლის შესაძენად.

✦ **რედაქციამ მიიღო** სამეურნეო ჟურნალ **„მოსავლის"** მე-21—22 ნომრები, შემდეგის შინაარსით: ტრაქტორი ჰარტ-პარ და ჯონ-დეერ კომპანიის გუთნები, ვ. რცხილაძისა. რძე და მერძეობა, რ. გედევანიშვილისა. მაკ-კორმიკის სამკალი მანქანა, გ. ნახუცრიშვილისა.

**განცხადებანი:** ხელოვნურ სასუქები; ცხვრის საპარსი მაკრატლები, წიწილების გამოსაჩეკი ფეჩი.

✦ **კახეთის რკინის გზა.** დღეს პეტერბურგში კრება ექნებათ კახეთის რკინის გზის აქციონერებს, რომელთაც უნდა გადასწყვიტონ საკითხი: რამდენად შესაძლებელია კახეთის რკინის გზისა და სიღნაღ-ბაქოს გზის გაყვანის საქმის გაერთიანება.

✦ გაზეთი „რეჩი" იუწყება, რომ **დეპუტატი გელოვანი** ამზადებს სახელმწიფო სათათბიროში შესატანად შეკითხვას კავკასიის მთავრობის უკანონო მოქმედების გამო ტფილისის მახლობელ სოფელში მკვიდრ მცხოვრებსა და რუსების მოსახლეთა შორის მომხდარ შეტაკების დროს.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **სამღვდელოების დელეგატთა** კრება 15 დეკემბერს დაიწყება ტფილისში. დელეგატებს დღეში 1 მან. 50 კ. მიეცემათ, გზის ხარჯი კი უნდა იკისროს იმ რაიონების სამღვდელოებამ, რომლიდანაც დელეგატები არიან კრებაზე გამოგზავნილნი.

✦ ქ. შ. წ. კ. გ. ს. გამგეობის დავალებით ამ დღეებში საზოგადოების მდივანი წავიდა საზოგადოების გომარეთისა და ყალამშიის სკოლების დასათვალიერებლად. ყალამშის სკოლაში ამ ჟამად 55 მეტი მოსწავლე დაიარება სკოლაში. ყალამშიაში ამ ჟამად სოფლის დახმარებით წ. კ. საზ. გამგეობა აშენებს სკოლისათვის საკუთარ შენობას. შენობა მალევე დაიხურება და შემზადდება. პირველ იანვრიდან ყალამშიის სკოლა ახალს ბინაზე გადავა.

## სასწავლებლებში

✦ **საბალოსნო სკოლის** მესამე კლასის მოწაფეები სკოლის გამგის პ. გ. მელიას ხელმძღვანელობით გორის მაზრის სოფ. სკრაში გაემგზავრნენ ავსარქისოვების მამულში საპრაქტიკო სამუშაოსთვის, იქ ერთს კვირას დაჰყოფენ.

## სასამართლო

✦ **„ბაკუ"-ს რედაქტორ ქრ. ვერმიშევის საქმე.** ტფ. სამოსამართლო პალატამ 27 ნოემბერს გაარჩია წოდებათა წარმომადგენლების მონაწილეობით. ვერმიშევი სამართალში იყო მიცემული სისხლის სამართლის მე-129 მუხლის ძალით „ბაკუ"-ში დაშნაკცაკანების პროკლამაციის დაბეჭდვისათვის. შარშან პალატამ ვერმიშევი დამნაშავედ იცნო და ღირსების ახდა და სამუდამო გადასახლება მიუსაჯა. ბრალდებულმა სენატში საკასაციო საჩივარი გადაიტანა რომელიც სენატმა შეიწყნარა და საქმე პალატას ხელმეორედ გასარჩევად დაუბრუნა. ამ ჟამად პალატამ ვერმიშევი დამნაშავედ იცნო მხოლოდ 1044 მუხლის ძალით და 300 მან. დაჯარიმება გადაუწყვიტა. თუ ჯარიმის არ გადაიხდის, სამის თვით დააპატიმრებენ.

## ქუთაისი.

✦ როგორც „იმერეთი" შეუტყვია, **სტუდენტ დ. ქლენტის ცხედარი** დორპატიდან გამოუსვენებიათ 23 გიორგობისთვეს და ამ დღეებში ქუთაისს მოასვენებენ.

# ქუთაისის ამ-ბარბი

ალარ იცი ვის დაუჯეროს კაცმა —უმაღლესი მთავრობის განკარგულებას, რომ პირველ დაწყებით სკოლებში რუსული ენის სწავლება მეორე წლიდან იწყებოდეს, თუ ამავე მთავრობის აგენტებს, სახელდობრ სახალხო სკოლების დირექტორს და მის თანაშემწე ინსპექტორებს.

წარსულ ზაფხულში საოლქო ინსპექტორის სლოვინსკის თავმჯდომარეობით ბორჯომში მომხდარა მასწავლებელთა კრება, რომელიც იმ დასკვნამდე მისულა ქართველთათვის სახალხო სკოლებში რუსული ენის სწავლება ბავშვის სკოლაში შესვლისათანავე უნდა დაიწყოსო: ეს გადაწყვეტილება ხსენებული კრებისა სისრულეში მოჰყავთ სახალხო სკოლების დირექტორსა და ინსპექტორებსა. სოფლიდან ეხლა ქალაქშიც გადავიდნენ. აქაც ავალებენ გამგეობას სასწავლო პროგრამის გეგმა შესცვალონ თანახმად ბორჯომში მომხდარი კრების გადაწყვეტილებისა. სასკოლო კომისია ამ ჟამად ეკამათება სახალხო სკოლების დირექტორს და უმტკიცებს, რომ ბორჯომში მომხდარი კრების გადაწყვეტილება არავისთვის სავალდებულო არ არის, ვიდრე არსებობს ნამესტნიკის განკარგულება, რომ პირველ დაწყებით სკოლებში სწავლა უნდა სწარმოებდეს 1881 წლის პროგრამით.

ვიდრე მიწერ-მოწერას ბოლო მოეღება და საქმე გამოირკვევა, უმჯობესი იქნებოდა ქალაქის თვითმართველობის წარმომადგენელს ენახა როგორც მზრუნველი რუდოლფი, ისე ნამესტნიკი და ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოეღოთ ამ საკითხისათვის.

* * *

ამ დღეებში რეალურ სასწავლებელში გაიმართა საღამო, რომელმაც ბევრი ხალხი მოიზიდა და ძალიანაც ასიამოვნა. საღამოზე ილიას ნაწარმოებიც იქმნა წაკითხული.

* * *

29 ამ თვეს დანიშნულ ქართულ თეატრის დამამშვენებელ მსახიობ ქალის ნინო ჩხეიძის ბენეფისია. ქართულ თეატრს დიდი ხანია თვალს ვადევნებთ და არ აღგვინიშნავს ისეთი მოღვაწე ჩვენს სცენაზე, რომელსაც შეთანხმებული ჰქონდეს ბუნებისაგან მომადლებული ნიჭი ქართველისათვის არა-ჩვეულებრივ შრომის მოყვარეობას, როგორც ამას ახერხებს პატივცემული ქ-ნი ნინო. არ გვინახავს იგი სცენაზე ისე გამოსული, რომ როლის ცოდნასთან ერთად, სავსებით არ ჰქონოდეს გათვალისწინებული ყოველი წვრილმანი საზოგადოდ პიესისა და კერძოდ—თავის როლისა, ამიტომაც არის, რომ საზოგადოება მას დიდად აფასებს და ეჭვი არ არის, რომ ეხლაც დააფასებს მის პატიოსან შრომას.

* * *

ჩვენ ეჭვი არა გვაქვს, რომ 29 ამ თვეს ქართული თეატრი სავსებით გაივსება, მაგრამ, ეს არ კმარა—საჭიროა ქუთაისის საზოგადოებამ შესაფერად დააფასოს ქართული დრამატიული საზოგადოების გამგეობის მოღვაწეობა და მის მიერ განზრახულ საღამოს, 29 დეკემბერს, საკმაოდ დაესწროს და ამით გაუადვილოს საზოგადოებამ ის მძიმე უღელი, რომელიც მას აწევს. თუ საზოგადოება არ დაეხმარა გამგეობას, იგი უძლური შეიქნება, სეზონს გაუძლევს და ისეთი სრული დასი შეინახოს, როგორც წრეულსა და წინა წლებში ჰყავდა. დასის შენახვას წარმოდგენების შემოსავალი ვერ გაუძლვება და დეფიციტის დასაფარავად საჭიროა საზოგადოების დახმარება და ეს უკანასკნელი საჭიროა 9 დეკემბერს, როდესაც გაიმართება საქველმოქმედო საღამო ქართული დრამატიული საზოგადოების საშუალებათა გასაძლიერებლად.

ს. ე. ქ.

# სასამართლო

## თავ. დავით ოტიას ძე ნიჟარაძის საქმე.

ქუთაისის ოლქის სასამართლოში, 27 ნოემბერს, ხელმეორედ გაირჩა თავ. დავით ნიჟარაძის საქმე, რომელიც სამართალში იყო მიცემული ქუთაისის საგუბერნიო სავლეხო საქმეთა საკრებულოს წევრის ა. ა. ბიბიკოვის პრესაში შეურაცხყოფის გულისათვის. საქმის ვითარება ასეთი იყო: გაზ. „ზაკ. რეჩ"-ის მე-246 ნომერში დაბეჭდილი იყო თავ. დ. ო. ნიჟარაძის წერილი, სადაც ეხებოდა ქუთაისის გუბერნატორის გენერალ სლოვაჩინსკის მოქმედებას და დასძენდა: „გენერალ სლოვაჩინსკის რომ მოენდომებინა ხალხში ჩაენერგა მთავრობისადმი პატივისცემა, არ იხელმძღვანელებდა ქუთაისის საგუბერნიო საქმეთა საკრებულოს წევრის ა. ა. ბიბიკოვის რჩევებით, რომელმაც თითონ დაახასიათა თავისი თავი, როდესაც სასამართლოში სთქვა, რომ თავად-აზნაურობის ერთმა წარმომადგენელმა საჯაროდ უწოდა არამზადა [illegible] ... რადგანაც თავად-აზნაურობა კანონიერად სწარმოებს, გენერალ სლოვაჩინსკის მხარეს ყველა ადგილობრივი მოღვაწე დაიჭერდა, რომელსაც უყვარს თავისი ხალხი და აფასებს ადმინისტრაციასა და ხალხს შორის ნორმალურ განწყობილებას; მაგრამ სხვა საქმეებში არც ერთ თავის მოყვარულ საზოგადოებრივ წოდებრივ წარმომადგენელს არა აქვს ადგილი გენერალ სლოვაჩინსკის ახლოს, რადგანაც მას გარს ახვევია „ბიბიკოვი და კომპანია". შემდეგ წერილში თავ. ნიჟარაძე ამბობს რომ გენ. სლოვაჩინსკიმ მოიწადინა თავად-აზნაურთა წინამძღოლის თანამდებობაზე ჩემი დამტკიცების წინააღმდეგობა... „მაგრამ ჩემ წინააღმდეგ საბრძოლველი იარაღი მას კი არ გამოუგონია, არამედ მაზე გაცილებით ადრე ქუთაისის საგ. სამ. საქმეთა საკრებულოს წევრს ბიბიკოვს, რომელსაც, როგორც ზევით აღვნიშნე, ექვსი წლის წინედ მოქრთამე ვუწოდე".

რადგანაც ბ. ბიბიკოვმა ამ წერილში თავისი შეურაცხყოფა დაინახა, ქუთაისის საოლქო სასამართლოს ბრალმდებელს თხოვნით მიჰმართა რომ თავ. ნიჟარაძე პასუხის გებაში მიეცა.

წინასწარ გამოძიების დროს თავ. ნიჟარაძემ თავი დამნაშავედ არა სცნო და განაცხადა: ბიბიკოვის შეურაცხყოფა სრულიადაც არა მსურდა, მე მხოლოდ განვიმეორე ის სიტყვები, რომელიც ბიბიკოვმა სასამართლოში სთქვა 1907 წლის 10 აპრილს.

ამის გამო თავ. ნიჟარაძეს ბრალდებოდა რომ 1911 წ. გაზ. „ზაკ. რეჩ"-ში დაბეჭდა წერილი, რომელშიაც შეურაცხყოფა მიაყენა ბ. ბიბიკოვს. ეს დანაშაული ქვემდებარება კან. კრებულ. 4040 მუხლს. საქმის პირველად განხილვის დროს, 1912 წლის 2 მაისს, თავ. ნიჟარაძე ავადმყოფობის გამო სასამართლოში არ გამოცხადდა და ექიმის მოწმობა წარმოადგინა. ოლქის სასამართლომ ეს ავადმყოფობა სასამართლოში გამოუცხადებლობის საკმაო მიზეზად არა სცნო და საქმე განიხილა.

მოწმემ **ა. ბიბიკოვმა.** ფიცს ქვეშ განაცხადა: თავ. ნიჟარაძემ შეურაცხყოფა იმიტომ მომაყენა რომ საზოგადოებისა და ჩემი უფროსების თვალში სახელი გამეტეხნა, რაც ჩემ სამსახურიდან დათხოვნას გამოიწვევდა.

ბრალმდებელმა აღნიშნა ბრალდებულის წოდება, თვალსაჩინო საზოგადოებრივი მდგომარეობა, აღნიშნა რომ ასეთმა პირმა მოინდომა სახელმწიფო მოხელის შეურაცხყოფა ბოროტ-განზრახვით და მოითხოვა უდიდესი სასჯელი.

სასამართლომ ბრალდებულის დაუსწრებლად გამოიტანა განაჩენი, რომლითაც თავ. დ. ო. ნიჟარაძე დამნაშავედ იცნო და ექვსი თვის ციხე გადაუწყვიტა. ეს გადაწყვეტილება თავ. ნიჟარაძემ განასაჩივრა და საქმის ხელმეორედ გარჩევაზე, რომელიც მოხდა 27 ნოემბერს, განაცხადა: ეს საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოს არ ექვემდებარება, რადგანაც წერილი დავსწერე და პირადად წარვადგინე რედაქციაშიო (ამას მოწმობა რედაქციისაგან წარადგინა) და წერილი დაიბეჭდა გაზეთში, რომელიც ქ. ტფილისში გამოდისო. ამიტომ თავ. ნიჟარაძე შუამდგომლობდა ქუთაისის ოლქის სასამართლოში საქმის მოსპობას.

სასამართლომ $1^{1}/_{2}$ საათის თათბირის შემდეგ შეიწყნარა ბრალდებულის განცხადება და დაადგინა საქმე ქუთაისის ოლქის სასამართლოში მოისპოს.

# არისტოს ქუთათელაძის გარდაცვალების გამო

გული მომიკლა საყვარელი მასწავლებლის-მამის არისტოს სიკვდილმა. აღარა სძგერს სიყვარულით და სიცოცხლით სავსე გული ბავშვების მოყვარულის მასწავლებლისა და პატიოსანი, პირუთვნელი ადამიან-მოქალაქისა. რა იტიროს ადამიანმა—ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ფუქსავატობა, გზა აბნეული ჩვენი ხეტიალი თუ დაკარგვა ისეთის მასწავლებლისა, რომელთაც უკანასკნელ წუთამდე არ შეწყვეტილა სულიერი კავშირი, რომელიც თავის ნამოწაფარის გულში ყოველთვის საუკეთესო მოგონებებს აღვიძებდა, რომლის დინჯი, დარბაისლური ქალარით დაგვირგვინებული ჰკვიანი სახე

ღრმადა აქვს ჩანერგილი ყოველ მის მოწაფეს! ძვირფასი შიო, ვლადიმერ ლორთქიფანიძე, იოსებ მგალობლიშვილი, უცხო ტომის საყვარელი ჰერიკლე კორხანიდი და აჰა, არისტოც გამოასალმა სოფელს ულმობელმა სიკვდილმა. ხელიდან გვეცლებიან ხელმძღვანელნი, რომელთაც პირველად შეახეს თვისი მადლიანი ხელი ჩვენს ბავშურ გულს, გადახსნეს იგი და მთელი თვისი უმწიკვლო განძი შიგ შთაგვინერგეს. არისტო ამ ხელმძღვანელთა რიცხვს ეკუთვნოდა. და გულიც იმიტომ მიკვდება, სასომიხდილი გულიც იმიტომ მეკუმშება.

**პავლე დადვაძე.**

### უკანასკნელი სალამი არისტო ქუთათელაძეს.

გამოესალმა სამშობლოს ცხოვრებას კიდევ ერთი ჩემის პატარაობის საუკეთესო მასწავლებელთაგანი. არ შემიძლიან ჩუმად განვიცადო ის გულის ტკივილი, რომელიც ამ სიკვდილმა მაგრძნობინა. ამ ოცდა-ხუთი, ოცდა-ათი წლის წინად სულ პატარა ბავშვები ქართულ სკოლის მაგიდასთან ჩამოცუცქულები, გულის ფანცქალით ველოდით ხოლმე ჩვენ მასწავლებლების კლასში შემოსვლას. მაშინ ქართულ სკოლას ზრდიდნენ, უვლიდნენ და ელერსებოდნენ ჩვენი პატივცემული თანამემამულენი: ბ. ბ. ნ. ლომაური, ვ. ყიფიანი, ალ. ჭიჭინაძე, მღვდელი ჯანაშვილი, რაჟდენ ჯაჯანაშვილი, გიორგი აგლაძე, არისტო. ალექსანდრე ნათაძე, ნ. მთვარელიშვილი, ა. მირიანაშვილი დ ნ. ბერიშვილი. ის ეროვნული საქმის ერთგულობა და ღრმა სიყვარული, რომელზედაც დამყარებული იყო ქართული სკოლა, საოცარ მიმზიდველობისა და სითბოს ატმოსფერას ჰქმნიდა, როგორც თვითონ სკოლაში, ისევე ქართულ ოჯახებშიაც, რომლებიც რითიმე იყვნენ დაკავშირებულნი მასთან. მშობლიური მოუსვენრობით იღვწოდნენ ამ სკოლისთვის მისი გამგეები: ნ. ლომაური, ვ. ყიფიანი და ალ. ჭიჭინაძე: შეთანხმებული და ნიჭიერი მუშაობა მასწავლებლებისა სტოვებდნენ ამოუშლელ კვალს, ანვითარებდნენ, ამახვილებდნენ და ამაღლებდნენ ჩვენ პაწაწა ნორჩ გულს და გონებას. ბ. ჯანაშვილის საუცხოვო ქადაგებანი იესო ქრისტეს ცხოვრებაზე იმდენად გვიჩვილებდა გულს, რომ ხშირად მთელი კლასი ავტირდებოდით. ისე შეგვაჩვია რაჟდენ ჯაჯანაშვილმა „ნობათს“, რომ მოუთმენლად ველოდით, როცა გამოვიდოდა ახალი ნომერი და მოგვიტანდა კლასში ჩვენი საყვარელი მასწავლებელი და თავიდან ბოლომდის წაგვიკითხავდა ახალს, სურათებიანს დ ლამაზ ასოებიან წიგნს. მუდამ პირმომცინარე მეგობრული პირდაპირობით გვეხუმრებოდა ჩვენი არისტო, ცოცხლად და საოცარი ხალისიანობით მოგვითხრობდა სამშობლოს აღწერასა და ბუნებისმეტყველებიდან. წყნარი და ალერსიანი ალექსანდრე ნათაძე და ალექსი მირიანაშვილი გვამეცადინებდნენ წერა-კითხვაში და ხაზვა-ხატვაში. მეტად მხიარულად ვგრძნობდით ხოლმე თავს, გალობა-სიმღერის გაკვეთილებზე ბ. ბალანჩივაძისა და ნ. ბერიშვილისა. გულ-ჩათხრობილი, მაგარი ხასიათის, მაგრამ ნაზი გულის მქონე გიორგი აგლაძე გვაჩვევდა მეთოდიურ მუშაობას; თუმცა ბ-ნი მთვარელიშვილი ჩვენ კლასში არ ასწავლიდა, მაგრამ ამხანაგებისგან მაინც ვიცოდით, რომ ისიც მტკიცედ იცავდა ჩვენი გულისა და გონების სიწმინდეს და დამოუკიდებლობას. ექვსი-შვიდი წლის ბავშვებმა უკვე კარგად ვიცოდით, ვინ იყვნენ იმ დროს საქართველოს სათაყვანებელი მამულიშვილები.

აი რა საზოგადოებრივ ჯგუფის მუშაობაში იყო ჩაბმული ჩვენი არისტო. ნელ-ნელა ცხოვრების დაუნდობლობამ ჩამოაშორა ამ ჯგუფს ბ. ბ. გიორგი აგლაძე, რაჟდენ ჯაჯანაშვილი, ნ. ბერიშვილი; დროთა ვითარებამ დაქსაქსა ეს მჭიდრო ოჯახი, მაგრამ ვისაც ჯერ კიდევ ჯანი არა ჰღალატობს, განაგრძობენ ჩუმად და ნაყოფიერად თავიანთ კეთილშობილურ გზას.

დღეს კი გაგვშორდა სამუდამოდ ჩვენი არისტო. ჩემო საყვარელო მასწავლებელო, გვიანღა არის, მაგრამ მაინც მინდა დავაწიო შენს ჯერ კიდევ თბილ გვამს ჩემი უკანასკნელი გამომშვიდობა და ბოდიში მოვიხადო შენს წინაშე, რომ სიცოცხლით ვერ გადაგიხადე მადლობა შენი კეთილშობილური ადამიანობისთვის. შენ, რასაკვირველია ამას არ საჭიროებ, რადგან ვიცი, რომ ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოს მადლის გამოხატულობა იყო შენი ღვაწლი. უკვდავია შენი წმინდა გული და გრძნობა, წმინდაა შენი მტკიცე რწმენა ჩვენი მომავლისა და უძლეველია შენი ჯან-საღი მსოფლიო მხედველობა.

სუბუქი იყოს შენთვის შავი დედამიწა და მშვიდად განისვენე შენს საყვარელ სამშობლოს გულში, ჩემო კარგო მასწავლებელო, არისტო!

ქ. მოსკოვი. **ალ. ჯავახიშვილი.**

## დროებითი ზავი.

თითქოს შესწყდა საშინელი სისხლის ღვრა. 20 ნოემბერს, სოფ. ბაღჩესქიოში ბულგარეთმა, სერბიამ და ჩერნოგორიამ ერთის მხრით, ხოლო ოსმალეთმა მეორეს მხრით ხელი მოაწერეს დროებითი ზავის ოქმს. ლულე-ბურგასთან, სადაც ხუთი დღისა და ღამის განმავლობაში სულამოუთქმელად სწარმოებდა ჯოჯოხეთური ბრძოლა, თითქმის გადასწყდა ბალკანეთის ომის საქმე—გამარჯვების ღმერთმა ბულგარეთის მხარე დაიჭირა. რაღა დარჩენოდა სასტიკად დამარცხებულ ოსმალეთს იმის მეტი, რომ გამარჯვებულთათვის მშვიდობიანობის ჩამოგდება ეთხოვნა. და მართლაც კირკილესთან შერცხვენილმა, ოსმალეთის ლაშქრის მთავარ-სარდალმა, აბდულაჰფაშამ საშინელი სურათი გადაუშალა თვალწინ ოსმალეთის მთავრობას, რომელიც ჯერ კიდევ ვერ გამორკვეულიყო მოულოდნელად თავსდატეხილ უბედურებისაგან, მისი მოხსენებიდან აშკარად სჩანდა, რომ ომი საბოლოოდ წაგებული იყო. ყოფილი მთავარ-სარდალი ემუდარებოდა დიდ ვეზირს: ღვთის გულისათვის, გონს მოდი, ახლავე მოლაპარაკება გამართე მოკავშირეთა მთავრობასთან, რომ სატახტო ქალაქი მაინც გადავარჩინოთ, რადგან სხვა ყველაფერი საბოლოოდ დაღუპულიაო. გამოცდილი და შორსმჭვრეტელი ბებერი დიპლომატი, ქიამილფაშა თვითონაც კარგად ჰხედავდა თვისი უბედური ქვეყნის უნუგეშო მდგომარეობას, მაგრამ ოსმალეთის პრესტიჟის დაცემის შიშით ვერ ჰბედავდა პირ და პირ ბულგარეთთან მოლაპარაკების დაწყებას. ხუმრობა ხომ არ იყო—გუშინდელი მბრძანებელი მთხოვნელის მდგომარეობამდე უნდა დამდაბლებულიყო თვისი მონის წინაშე. ამიტომ ქიამილფაშამ შორეული და უკვე ნაცადი გზა აირჩია: მან მიმართა ევროპის დიპლომატიას გაჭირვებულ მდგომარეობიდან გამოსასვლელად. დიდი სახელმწიფოები, რომელნიც მანამდე აპეკუნებივით ეპყრობოდნენ ბალკანეთს, ექვის თვალით შეხვდნენ ოსმალეთის წინადადებას, რადგან მოკავშირეთა ბრწყინვალე გამარჯვებამ სრულიად შესცვალა ევროპის დიპლომატიის მდგომარეობა ბალკანეთის საკითხში. ზოგიერთი, როგორც მაგ., ავსტრია და გერმანია, რასაკვირველია, დიდი სიხარულით იკისრებდნენ შემამართა შუამდგომლობას, მაგრამ ჯერ ერთი რომ თვით იყვნენ დაინტერესებული ამ ომით, განსაკუთრებით ავსტრია, და მეორეც მრავალ რთულ მიზეზის გამო დიპლომატიური მოლაპარაკების მთავარი ცენტრი იმ თავითვე პარიზსა და პეტერბურგში მოექცა. საფრანგეთის მინისტრ-პრეზიდენტი პუანკარე დასთანხმდა ოსმალეთის წინადადებას, შეიმუშავა მისაღები ზავის პუნქტები და წარუდგინა, განსახილველად, როგორც მეომარ მხარეებს, ისე დიდ სახელმწიფოებს. ოსმალეთმა მაშინვე იუცხოვა პუანკარეს წინადადება, როგორც მეტის მეტად დამამცირებელი ოსმალეთის სახელმწიფოებრივი ღირსებისა და პირდაპირ უარჰყო იგი, მოკავშირეებმა კი აშკარად განუცხადეს ოსმალეთსა და ევროპას: მხოლოდ მაშინ ჩავაგებთ მახვილს, თუ ოსმალეთი პირდაპირ ჩვენ მოგვმართავს შერიგების წინადადებითო. საკითხი გართულდა. ინტრიგების მოტრფიალე ავსტრია ცალი თვალით მოკავშირეებს ემუქრებოდა, ცალს კი ოსმალეთს უპაჭუნებდა—არამც დ არამც არ დასთანხმდე მოკავშირეთა წინადადებას, რადგან საქმე არც ისე ცუდათაა, როგორც გეჩვენებათ და თანაც სამთა კავშირი მზად არის დასახმარებლადო. გაურკვეველ მდგომარეობაში ჩავარდა ქიამილ-ფაშა, მაგრამ ბოლოს სძლია ავსტრიის ცდუნებას და გაიხსენა ძველი მეგობარი — ბულგარეთის მეფე ფერდინანდი. დიდმა ვეზირმა კერძო წერილი მისწერა ფერდინანდს და სთხოვა, ბოლო მოეღო საშინელ სისხლის ღვრისათვის. „პირადი ნაცნობობა და ძველი მეგობრობა—სწერდა ქიამილ-ფაშა — ნებას მაძლევს ასეთი კადნიერებისათვის, რათა მოგმართოთ თხოვნით, თქვენო დიდებულებავ, დაუდოთ საზღვარი ჩემი ქვეყნის უბედურებას“. ფერდინანდმა შეიწყნარა დიდი ვეზირის თხოვნა და რამდენიმე დღის შემდეგ დაბა ქადემკიოში ერთმანეთს შეხვდნენ ოსმალეთისა და ბულგარეთის წარმომადგენლები. ამ უკანასკნელთ დავალება ჰქონდათ აგრეთვე სერბიისა და ჩერნოგორიის მხრითაც. პირველ დღესვე გამოირკვა, რომ მოპირდაპირეთა შეთანხმება მეტად ძნელი იყო. ბულგარეთის მიერ წარმოდგენილი პირობები მეტად მძიმედ ეჩვენათ ოსმალებს და გადაჭრით უარჰყვეს იგი. ბულგარელები მოითხოვდნენ: ადრიანოპოლისა და სკუტარის დანებებას, რომელთაც დღესაც ალყა არტყია; ოსმალეთის ჯარს უნდა მიეტოვებინა ჩათალჯის სიმაგრეები და სანსტეფანოსკენ უნდა დაეხია უკანასკნელ საფრებზე, იმ პირობით კი, რომ მცირე აზიიდან ახალი ჯარი აღარ მოეყვანა საომარ ასპარეზზე; ამას გარდა ოსმალეთის ფლოტს უნდა მოეხსნა ბულგარეთის სანაპიროების ბლოკადა. ორი დღის გამუდმებულმა მოლაპარაკებამ უნაყოფოდ ჩაიარა. მოპირდაპირენი ვერ შეთანხმდნენ. ბულგარელებმა საჩქაროდ მომართეს მძიმე არტილერია და მოემზადნენ ჩათალჯის საიერიშოდ. თითქოს საშველი არსად იყო, მაგრამ სამთა შეთანხმების სახელმწიფოებმა (ინგლისი, საფრანგეთი, რუსეთი) მეგობრულად ურჩიეს მოკავშირეებს: სასურველია საქმე არ გააჭიანუროთ და შერიგდეთო. ბულგარელებმა დაიჯერეს მეგობრების სიტყვა და დათმობის გზას დაადგნენ. დიდი ბჭობისა და კამათის შემდეგ, ბულგარეთის პარლამენტის თავმჯდომარემ დანევმა, რომელიც თათბირს თავმჯდომარეობდა, მოახერხა ისეთი პირობების შემუშავება, რომელიც თანაბარად საყაბულო შეიქმნა ორივე მხრისათვის. მისი შინაარსი შემდეგია: მოპირდაპირეთა ჯარი იმ ადგილსვე დარჩება უცვლელად, სადაც ამ ჟამად იმყოფება. ალყაშემორტყმული ციხეები: ადრიანოპოლი, სკუტარი და იანინა არ დანებდებიან; ამ ქალაქებში სურსათის შეტანა აკრძალულია. აკრძალულია მოპირდაპირეთაგან ახალი, მაშველი ჯარის მოყვანა. ოსმალეთის ფლოტმა ბლოკადა უნდა მოხსნას ბულგარეთის სანაპიროებს. ბულგარეთს ორი გზით შეუძლია თვის ჯარისთვის სურსათის მიტანა —ადრიანოპოლის რკინის გზითა და შავი ზღვით. დროებითი ზავი 15 დღეს გაგრძელდება, რომლის განმავლობაშიც მეომარნი გამართვენ მოლაპარაკებას სრული მშვიდობიანობის დასამყარებლად. როდესაც ოქმის ხელის მოწერაზე მიდგა საქმე, საბერძნეთის წარმომადგენლებმა ერთბაშად განაცხადეს, რომ იგინი ვერ დასთანხმდებიან შემუშავებულ პირობებს და უფლებას იტოვებენ ერთი დღის განმავლობაში მიემხრონ ან არა მოკავშირეთა ხელის მოწერას. ერთი დღეც გავიდა, მაგრამ საბერძნეთი არ დასთანხმდა დროებითი ზავს და ამგვარად გადასწყვიტა მარტო ბრძოლის განგრძობა. საბერძნეთის საქციელმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ევროპის დიპლომატიასა და პრესაში. გაზეთები ერთმანეთს ასწრებდნენ ასეთი მოულოდნელი გარემოების მიზეზთა ახსნას, ზოგიერთი მათგანი იქამდეც კი მივიდა, რომ ბალკანეთის კავშირი დარღვეულად აღიარა, რუსული გაზეთები მწუხრული ენით აღნიშნავდნენ მოკავშირეთა უთანხმოების დასაწყისს და ერთხმად ურჩევდნენ ბერძენ-სლავიანებს, ასეთ კრიტიკულ მომენტის დროს დაევიწყნათ შუღლი და უთანხმოება, რათა დიდი მსხვერპლით მოპოვებული შედეგი ომისა საკუთარივე ხელით არ გაენიავებინათ. ვენის ინტრიგანი პოლიტიკოსები კმაყოფილების კბილთაღრჭენით მიეგებნენ ამ ამბავს, რომელიც მათი ბნელი განზრახვის ასრულებას ერთი-ორად აადვილებდა. მაგრამ, როგორც პირველთა მწუხარება, ისე მეორეთა ზეიმი მეტად ხანმოკლე და ნაადრევი გამოდგა. გამოირკვა, რომ საბერძნეთის საქციელი წინ და წინვე მოფიქრებული და განსაზღვრული ყოფილა მოკავშირეთაგან. საბერძნეთის ოფიციოზური გაზეთი „ჰესტია“ ასე ახსნის ამ ფაქტს: თუ საბერძნეთმა არ მოიწონა დროებითი ზავის ზოგიერთი მუხლი, ეს რასაკვირველია, კავშირის თითოეული წევრის უფლებას შეადგენს, რადგან ხელშეკრულობის ამა, თუ იმ მუხლს სხვა და სხვა გვარი მნიშვნელობა აქვს მოკავშირეთათვის, მაგრამ საბერძნეთის უთანხმოება სრულიადაც არ ნიშნავს კავშირის დარღვევასა და მოკავშირეთა შორის შუღლის ჩამოვარდნას; პირიქით ეს გარემოება მეტად სასარგებლოა საერთოდ დაწყებული საქმისათვის, რომელიც ჯერ სავსებით არ დამთავრებულა. საბერძნეთის ფლოტს რომ ეგეის ზღვის სანაპიროების ბლოკადა მოეხსნა და მიეღო დროებითი ზავის პირობები, როგორ შეეძლოთ მოკავშირეებს ოსმალეთისათვის თვალყურის დევნება, რომ მას მცირე აზიიდან ახალი მაშველი ჯარი ფარულად არ გადმოეყვანა ევროპაში. აი, რა ყოფილა საბერძნეთის უთანხმოების ნამდვილი მიზეზი. საქმე ისაა, რომ საბერძნეთი სრულებით უარს არ ამბობს მშვიდობიანობის დამყარებაზე, იგი მონაწილეობას იღებს იმ თათბირში, რომელიც ლონდონშია დანიშნული. მხოლოდ სანამ სრული ზავი ჩამოვარდებოდეს, მას სურს დროის მოგება, რათა ბოლომდი მიიყვანოს დაწყებული საქმე. დღეს ეპირში ღენ. საპუნზაკისის მეთაურობით საბერძნეთის ჯარი ოსმალთა ლაშქრის ნამსხვრევებისაგან სწმენდს ქვეყანას; მან ალყა შემოარტყა ეპირის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ქალაქს იანინს, სადაც ოსმალთა გზა-დაბნეული რაზმები გამაგრდნენ. კუნძულ ხიოსსა და მიტილენეზედაც ბრძოლა სწარმოებს და აი, სწორედ საბერძნეთი ცდილობს მშვიდობიანობის დამყარების მომენტისათვის ყველაფერი ეს მოათავოს, რათა მის სიტყვას მეტი გავლენა ექმნეს ოსმალეთისა და ევროპის დიპლომატიაზე მომავალ „სტატუს ქვოს“ დამკვიდრების დროს. ოსმალეთს დღეს არ შეუძლიან საბერძნეთის გამკლავება, რადგან ოსმალთა გაწვრთნილი ჯარი დროებითი ზავის პირობების ძალით ჩათალჯის სიმაგრეებზეა მიბმული და ერთი ჯარის კაცის დაძვრაც კი არ შეუძლიან იქიდან, ხოლო ანატოლის რედიფთა (სათადარიგო) გადმოსაყვანად ძლიერი ფლოტია საჭირო, რომ საბერძნეთის ფლოტს ღია ზღვაზე შეებას და არქიპელაგზე გაბატონდეს. თუმცა ოსმალეთის ფლოტი რიცხვით გაცილებით სჭარბობს საბერძნეთისას, მაგრამ პირველის გემები ძველი ტიპისაა და ნაკლებ შეიარაღებულიც. საბერძნეთის სამხედრო გემებში მხოლოდ ერთ ჯავშნიან კრეისერს „ავეროვს“ შეუძლია ჩინებული მეტოქეობის გაწევა ოსმალთა სამი ჯავშნოსანისთვის. ეს იყო სწორედ იმის მიზეზი, რომ ოსმალეთის ფლოტი ამ ომის განმავლობაში მარმარილოსა და შავ ზღვაში ჩაიკეტა და ვერ ბედავდა ეგეის ზღვაში გამოსვლას, სადაც გზირივით უთვალთვალებდა მას ადმირალ კუნდურიოტის ესკადრა. ასეთ პირობებში, რასაკვირველია, საბერძნეთისათვის არ იყო ხელსაყრელი დროებითი ზავის ჩამოგდება, მით უმეტეს რომ ხმელეთის ჯარიც საკმაოდ ძლიერი და თან გამარჯვებით აღფრთოვანებული ჰყავს. მოკავშირეებთან შედარებით, საბერძნეთმა ყველაზე მცირე ზარალი ნახა ამ ომის დროს და ამიტომაც ეჩქის გული ბრძოლის გასაგრძობად. ადვილი შესაძლებელია, ახლა იგი დარდანელის სრუტის სიმაგრეებს მიადგეს ფლოტითა და ჯარით და სრულიად შესცვალოს ლონდონის მომავალი ხელშეკრულების სახე და შინაარსი. ცხადია, საბერძნეთის ასეთი ფართო განზრახულება საიდუმლოდ არ დარჩებოდა დანარჩენ მოკავშირეთათვის, რასაც საქვეყნოდ აცხადებს დღეს საბერძნეთის ოფიციოზი. მაშასადამე საბერძნეთის უკანასკნელი ნაბიჯიც წინ და წინვე გათვალისწინებული ჰქონია ბალკანეთის კავშირს. ოსმალები დამარცხდნენ არა მარტო როგორც მეომრები, არამედ როგორც დიპლომატებიც. ბულგარეთის მეფემ ფერდინანდმა სავსებით გაამართლა „დიდი დიპლომატის“ სახელწოდება.

**ჴოლხი.**

# ბალკანეთის ომი

**დეპეშები**

28 ნოემბერი

**საზავო მოლაპარაკება**

**დანევი.**

**სოფია.** დანევი ლონდონში წასვლის დროს გზად ინახულებს პარიზში და ვენაში გარეშე საქმეთა მინისტრებს.

**რწმუნებულთა ლონდონში წასვლა.**

**ბელგრადი.** რწმუნებული ნოვაკოვიჩი ლონდონში წავიდა. სხვა რწმუნებულნიც მალე გაემგზავრებიან ლონდონში.

**ოსმალეთის გარეშე საქმეთა მინისტრი და ზავის საკითხი.**

**სტამბოლი.** პეტერბურგის სააგენტოს კორესპონდენტი ეწვია გარეშე საქმეთა მინისტრს. მინისტრმა ზავის იმედი გამოსთქვა. მინისტრმა სთქვა: ბალკანეთის სახელმწიფონი ომის წინ ითხოვდნენ მაკედონიის ავტონომიას, ამავე დროს დიდმა სახელმწიფოებმა განაცხადეს: არ მისცენ ნება მოპირდაპირეებს შესცვალონ ტერიტორიის „სტატუს-ქვო“. ოსმალეთი დამარცხდა. ბალკანეთის სახელმწიფოებმა ომი მოიგეს. მაშასადამე ჩვენ იძულებული ვართ მაკედონიის ავტონომია მივცეთო. ადრიანოპოლი, სალონიკი და სხვა ქალაქები ისევ ოსმალებს უნდა დარჩეთო. თუ კერძო პირებმა უნდა შეასრულონ დანაპირება, რატომ სახელმწიფოებმა არა უნდა დაიცვან თავიანთი სიტყვა—ამბობს მინისტრი. ამის გამო ბალკანეთის სახელმწიფოებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ ავტონომია და დიდმა სახელმწიფოებმა თავიანთი სიტყვა სისრულეში მოიყვანონო. საბერძნეთის თაობაზე მინისტრმა სთქვა: საბერძნეთმა გამოაცხადა სურვილი საზავო მოლაპარაკებაში მონაწილეობის მიღებისა, გარნა მისი საქციელი ვერ იყო თავაზიანი, რადგანაც დროებითი ზავის საქმეში წინააღმდეგობა გასწიაო.

**ჩერნოგორიის დელეგატები. ელჩთა კონფერენცია.**

**პარიზი.** პუანკარემ მიიღო ჩერნოგორიის დელეგატები, რომელნიც მონაწილეობას მიიღებენ ლონდონის კონფერენციაში. დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს შეუტყვია, რომ ელჩთა კონფერენცია პარიზში კი არა, ლონდონში მოხდებაო.

**ბალკანეთის სახელმწიფოთა საზღვრები.**

**სოფია.** „მირი“ სწერს: სიმართლეს მოკლებულია ცნობები ბალკანეთის სახელმწიფოთა მიერ დაპყრობილ ალაგების განაწილებისაო. განაწილება მოხდება ზავის შემდეგო.

**ლივანის გუბერნატორი.**

**სტამბოლი.** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგი ოჰანეზ ეფენდი კუმჯიანი ლივანის გუბერნატორად დაინიშნა. ადრიანოპოლის კომენდანტს უბოძეს „გაზი“-ს ტიტული რაიც ჰნიშნავს—„დაუმარცხებელი“.

**გაზეთებიდან**

**საბერძნეთის მხრით.**

**დარდანელის ბრძოლა.**

სტამბოლიდან იტყობინებიან: სარწმუნო წყაროებიდან იუწყებიან, რომ საბერძნეთის 40 გემი სამხედრო ფლოტის მფარველობით საროსის ყურეში მივიდა, გალიპოლის ნახევარ კუნძულზე ჯარის გადასაყვანად. ჯარმა უკვე ზარბაზნები დაუშინა დარდანელის სიმაგრეებს. ბრწყინვალე პორტმა დარდანელიდან დეპეშა მიიღო, რომ გალიპოლის ნახევარ კუნძულზე უკვე დაიწყო სამხედრო მოქმედებაო.

**ბრძოლა ეპირში.**

სტამბოლიდან იტყობინებიან: ბრძოლა ბერძნებსა და ოსმალებს შორის გრძელდება.

**კუნძულ სამის შეერთება.**

ათინიდან ცნობაა: კუნძულ სამის მცხოვრებლებმა დაადგინეს, კუნძული, რომელიც დღეს იტალიელებს უკავიათ, საბერძნეთს შეუერთონ.

**ავსტრიისა და იტალიის პროტესტი.**

ვენიდან იუწყებიან: იტალიამ და ავსტრიამ პროტესტი განაცხადეს ათინაში ქ. ვალონისათვის ზარბაზნის დაშენის გამო. იგინი გადაჭრით აცხადებენ, რომ არაოდეს იწამებენ ბერძნების მიერ კუნძულ სასეპოს დაპყრობას.

**ოსმალეთის მხრით.**

**ოსმალეთის ფლოტი.**

ოსმალეთის ფლოტის მთავარ-სარდალს ებრძანა, მზად იყოს ეგეის ზღვაში წასასვლელად.

**ნაზიმ-ფაშის ბრძანება.**

სტამბოლიდან იუწყებიან: ნაზიმ-ფაშა, რომელმაც დიქტატორის უფლებანი მიიღო, დეპეშით ატყობინებს დიდ ვეზირს: გადავაყენე სამხედრო მინისტრის თანამდებობის აღმასრულებელი თევზი-ფაშა და სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარე, რადგან იგინი ახალგაზრდა ოსმალთა ჩაგონებით მოქმედებდნენ; მათს ადგილზე ვნიშნავ ფაიდ-ფაშასა და იდრის-ფაშას. გადამიყენებია აგრეთვე იერუსალიმის გუბერნატორი, რომელმაც გაჰბედა ომის გაგრძელების წინააღმდეგ პროტესტის გამოცხადება.

**მოლაპარაკების პროგრამა.**

ბალკანეთის ერთს გამოჩენილ დიპლომატს უთქვამს „რუსკოე სლოვოს“ კორესპონდენტისათვის:

— ლონდონის თათბირის პროგრამაში შედის საკითხი ოსმალეთთან შერიგებისა და მოკავშირეთა შორის დაპყრობილ ადგილების გაყოფისა. როდესაც კავშირი იკვრებოდა, მონაწილეებს არ ჰქონდათ გათვალისწინებული ნამდვილი საზღვრები მომავალ ტერიტორიისა. უთანხმოებას სალონიკის ბედი იწვევს. ამ ქალაქის დაკავება ბერძნებისაგან არ იყო ნავარაუდევი. ადვილად შესაძლებელია, უთანხმოების თავიდან ასაცილებლად, სალონიკი თავისუფალ ქალაქად გამოაცხადონ. მოლაპარაკების გათავების შემდეგ, ოქმები ელჩთა კონფერენციას წარედგინება, რომ სახელმწიფოებმა შესძლონ თვისი აზრის გამოთქმა.

**„ოსმალეთი ხაფანგში“**

სტამბოლიდან იუწყებიან: დროებით ზავზე ხელისმოწერითა და საომარი მოქმედების შეწყვეტით ოსმალეთი, სამხედრო ავტორიტეტების აზრით, ისეთ ხაფანგში გაება, რომლის შედეგიც სულ მალე გამოჩნდება. ზავის პუნქტები განსაკუთრებულ ხელსაყრელ პირობებში აყენებენ საბერძნეთს, რადგან დროებითი ზავის უარყოფა—მოხერხებული ხრიკია. მთავრობის წრეებში დარწმუნებული არიან, რომ ლონდონის მოლაპარაკება მალე შესწყდება, რადგან ბულგართა და ჩერნოგორელთა დათმობის გზას დადგომა მხოლოდ დროის მოსაგებად იყო განზრახული და სრულებით ეთანხმება საბერძნეთის ჯარისა და ფლოტის გამარჯვებანი მოლაპარაკების განმავლობაში გაჭირვებულ მდგომარეობაში ჩააყენებს ოსმალეთს და აიძულებს მეტი დაუთმოს მოკავშირეებს. ქიამილ-ფაშას ესმის ასეთი საფრთხის მოლოდინი და ცდილობს განკერძოებული შეთანხმების მოხდენას საბერძნეთთან. მან დეპეშით აცნობა ათინის კაბინეთს, რომ ოსმალეთი მზად არის ფართო ავტონომია მიანიჭოს არქიპელაგის კუნძულებს, ოღონდ საბერძნეთმა ხელი აიღოს ოფიციალურად მათს შეერთებაზეო.

# ბალკანეთი და ევროპა

**დეპეშები.**

**სამთა კავშირის განახლების გამო.**

**რომი.** დეპუტატი პინკია შეეკითხა სან-ჯულიანოს, რა მიზეზებით აიხსნება სამთა კავშირის განახლებაო. შეკითხვის ავტორს ჰსურს მთავრობა გამოიწვიოს ამ საკითხის გასაშუქებლად.

**სამხედრო მინისტრის გადადგომა.**

**ვენა.** დილის გაზეთები აუწყებენ სამხედრო მინისტრ აუფენბერგის და მთავარ შტაბის უფროსის შემუსს გადადგომას. ხმები გამართლდა. მათი გადადგომა მიღებულ იქმნა.

**საფრანგეთი და სამთა კავშირი.**

**პარიზი.** „ტანი“ სწერს: სამთა კავშირის განახლება საუკეთესო დამამტკიცებელი საბუთია იმისა თუ რა კრიზის განიცდის იგი. საფრანგეთს და რუსეთს ამისი სრულიად არ ეშინიან. სამთა კავშირს უყვარს სრულიად ბუნებრივ მოვლენას ხაზი გაუსვას ხოლმე, ორთა კავშირი კი მომხრეა უფრო დინჯი სისტემისა, რაიცა მის ძლიერებას არ ავნებს.

**დანევი ბუხარესტში.**

**ბუხარესტი.** დანევი დაესწრო პარლამენტის გახსნას. იგი მეფემ ინახულა.

**გერმანიის სახელმწიფო ბანკი.**

**ბერლინი.** სახელმწიფო ბანკის კომიტეტის სხდომაზე თავმჯდომარემ განაცხადა რომ სახელმწიფო ბანკზე ცუდად იმოქმედა ბალკანეთის ომმაო. ეხლა, რადგანაც თან და თან მშვიდობა მყარდება, კომიტეტს იმედი აქვს საქმე ცუდად აღარ წავა და დისკანტის გადიდება აღარ მოუნდებაო.

**გაზეთებიდან.**

**ზავი და სახელმწიფოები.**

პეტერბურგიდან იუწყებიან: დიდმა სახელმწიფოებმა და რუსეთმა აცნობეს ბალკანეთის სახელმწიფოებს, რომ ოსმალეთთან ხელშეკრულობის დადების დროს მათ მხედველობაში უნდა მიიღონ დიდი სახელმწიფოების ინტერესებიც. გამოჩენილ დიპლომატების აზრით, დღეს დღეობით შეუძლებელია იმის თქმა, დაადასტურებენ თუ არა დიდი სა-

ხელმწიფოები მშვიდობიანობის ხელშეკრულებას. მოლაპარაკების წესი ასეთი იქნება: ერთსა და იმავე დროს როდესაც მოკავშირენი გამოსთქვამენ თავის პრინციპიალურ აზრს ამა თუ იმ საკითხზე, რომელიც ევროპას აინტერესებს, ელჩთა კონფერენციაც განიხილავს იმავე საკითხებს. ევროპის სახელმწიფოები მხოლოდ იმის ცდაში არიან, რომ როგორმე მოაწესრიგონ ბალკანეთის ომის შედეგი, მაგრამ იმ სახით კი, რომ ყველას დაუკითხავად რომელიმე ცალკე არ მოახერხეს რაიმე შეთანხმება ოსმალეთთან ან მოკავშირეებთან.

**ავსტრიის განზრახვა.**

ვენიდან ცნობაა, რომ ელჩთა კონფერენციაზე ავსტრია პროტესტს განაცხადებს სერბიის მიერ სანჯაყის შეერთების წინააღმდეგ. გერმანია და იტალია ვითომ მიემხრობიან ამ პროტესტს და საზოგადოდ სრული თანხმობით იმოქმედებენ ლონდონის მოლაპარაკების დროსო.

**ავსტრიის საომარი სამზადისი.**

ვარშავიდან „უტრო როსიის" ატყობინებენ: კრაკოვიდან იუწყებიან, რომ ხორვატიის პოლკები რუსეთის საზღვრებისკენ გაგზავნეს, ხოლო პოლონელებისა და უკრაინელებისა — სერბია-ჩერნოგორიისაკენ. პრაგაში სამხედრო წესების გამოცხადებას ელიან. გამოიცა განსაკუთრებული ბრძანება, რომლითაც აკრძალულია ვენის ყაზარმებში გარეშე პირთა ნებადაურთველად შესვლა. ბოსნიის რკინის გზებზე შესწყდა სავაჭრო საქონლის გზავნა.

**გერმანიის წინასწარმეტყველება.**

„უტრო როსიის" ბერლინიდან ატყობინებენ: ევროპის ომის შესაძლებლობა თან და თან იზრდება. დაჟინებით ამბობენ, რომ გაზაფხულზე უეჭველად ასტყდება რუსეთ-ავსტრიის ომიო. ეს მით უფრო მოსალოდნელია, რომ მანამდე გერმანია მოაგვარებს ინგლისთან თავის დამოკიდებულებას და მომავალ ომის დროს ინგლისის ნეიტრალიტეტი უზრუნველყოფილი იქნება. ბერლინში იმასაც წინასწარმეტყველებენ, თუ როგორი შედეგი ექნება ამ ომს: თუ ავსტრიამ გაიმარჯვა, იგი მთელ სერბიას შეიერთებს, გერმანია კი რუსეთის დასავლეთ მხარეში მიიღებს ვრცელ ტერიტორიასო.

# ᲓᲔᲞᲔᲨᲔᲑᲘ

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

**ს ა ზ ღ ვ ა რ - გ ა რ ე დ**

**28 ნოემბერი.**

**მთავრობის ურჩობა.**

**კაშგარი.** იარკენდის ოლქის უფროსი გო სამსახურიდან იყო დათხოვნილი. იგი არ უთმობს თავის ალაგს და იმუქრება იარაღით დავიცავო.

**კაბინეთის კრიზისი იაპონიაში.**

**იოკოგამა.** მარკიზ მაცუკატოს მიანდეს ახალი კაბინეთის შედგენა.

**ტოკიო.** მაცუკატომ ავადმყოფობის გამო კაბინეთის შედგენაზე უარი განაცხადა.

**ნობელის ჯილდო.**

**სტოკჰოლმი.** მეფის თანადასწრებით დაურიგდათ ხუთსს ნობელის პრემია. გრინაირმა და დანეიმ ჯირითისთვის მიიღეს ჯილდო. მიიღო აგრეთვე ფიზიკოსმა, მედიკმა კარელმა და ჰაუპტმანმა.

**რ უ ს ე თ ი**

**კოროლენკოს გამართლება.**

**პეტერბურგი.** სამოსამართლო პალატამ გაამართლა „რუსკოე ბოგატსტვო"-ს რედაქტორი კოროლენკო, რომელსაც უმაღლეს მთავრობისადმი უპატივისმცემლობა ჰბრალდებოდა.

**სათათბიროს სხდომა.**

**პეტერბურგი.** სახელმწიფო სათათბიროს სხდომა მოხდება 28 ნოემბერს.

**ფულის გაფლანგვა.**

**ჰელსინგფორსი.** გაზეთების ცნობით გაუფლანგავთ 12 მილიონამდე.

# ᲣᲪᲮᲝᲔᲗᲘ

**კაბინეთის გადადგომა იაპონიაში**

როგორც დეპეშათა სააგენტომ გვაუწყა, იაპონიის მინისტრთა კაბინეთი გადადგა. ამის მიზეზი იყო უთანხმოება სამხედრო მინისტრს და დანარჩენ მინისტრებს შორის. საქმე ის არის, რომ იაპონიაში ფინანსები კრიზის განიცდიან. ამისთვის საჭირო იყო შეემოკლებინათ ხარჯი სახელმწიფოს სხვა და სხვა მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. სწორედ ამდროს სამხედრო მინისტრს მინისტრთა საბჭოში შეაქვს კანონ-პროექტი კორეაში ჯარის გაძლიერებისა. ეს იმდენ ხარჯსაც არ მოითხოვდა, მაგრამ ყველა მინისტრი ამ კანონ-პროექტს წინააღუდგა. თვით ხარჯი იმდენ როლს არ თამაშობდა აქ, როგორც პრინციპი ეკონომიისა. ამის გამო სამხედრო მინისტრი, კანონ-პროექტისა — იშიმოტ თანამდებობიდან გადადგა. იაპონიაში სამხედრო მინისტრად უეჭველად სამხედრო პირი უნდა იყოს. ყველა ოფიცერი კი მომხრეა იშიმოტის კანონ-პროექტისა. კორეაში ჯარის გაძლიერება რუსეთ-მონგოლიის ხელშეკრულებამ გამოიწვია. მოსალოდნელია რუსეთ-ჩინეთის ომი და იაპონიაც უნდა ყოველ შემთხვევისთვის მზად იყოს. პრემიერმა საიონჯიმ ვერ მოსძებნა სამხედრო მინისტრის მემკვიდრე და ამიტომ მთელი კაბინეთი იძულებული იყო თანამდებობიდან გადამდგარიყო. როგორ გამოვა ამ გაჭირვებულ მდგომარეობიდან იაპონია, ახლო მომავალი გვიჩვენებს.

# ᲩᲕᲔᲜᲘ ᲤᲝᲡᲢᲐ

**რაჭველ გლეხს** — თქვენი მოთხრობა არ დაიბეჭდება.

**ალ. ჭანგიძესა და ვ. გორგაძეს** — ლექსები არ დაიბეჭდება.

**ი. სიხარულიძეს** — არ დაიბეჭდება.

**მოსკოვში „ერთს მრავალთაგანს"** — არ დაიბეჭდება.

**რედაქტორ-გამომცემელი**
**ნ. ქურდღელაშვილი.**

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ.


**ᲡᲘᲚᲐᲛᲐᲖᲘᲡ უმაღლეს ხ ა რ ი ს ხ ა მ დ ე!**

**№ 4711**
**ვარდის ფერი ბროლის**
**= Ს Ა Პ Ო Ნ Ი =**

კანსა და პირი-სახეს ისეთს სინაზესა, განწყობილებასა და ელფერს აძლევს, რომელიც ნამდვილ სილამაზის არსებით თვისებად ითვლება.

**ფერდ. მიულგენსი.**
პარფიუმერია № 4711.
კიოლნი ნ. რ. რ ი გ ა.
**დაარსებული 1792 წ.**



ერთი ნაჭერი 25 კ.
ყველგან იშოვება

Мотил. 309266 309286 1433.


# ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲡᲕᲚᲐ

**( ზ ა მ თ რ ო ბ ი თ ).**

**15 ოქტომბრიდან.**

(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის**

**ბაქოსკენ:** სამგზ.-საბარგო № 8, საღ. 6 ს. 26 წ. **ჩქარი** № 2, დილ. 10 ს. 14 წ. **საფოსტო** № 4, ღამის 12 ს. 36 წ. **სამგზავ.** № 6, ნაშუადღ. 6 ს. 31 წ. **ნარევი** № 106. საღ. 7 ს. 20 წ.

**ბათომისაკენ: სახ.** №№ 107, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 4 ს. 38 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. 50 წ. **სახ.** № 4, საღ. 9 ს. 4 წ. **სახ.** № 11, ღამ. 10 ს. 2 წ.

**ბაქოსკენ: ნარევ.** № 106, საღ. 7 ს. 26 წ.

**ერევანისკენ: სახ.-საბ.** № 8;7, შუადღ. 1 ს. 6 წ.

**ჯულფისკენ: საფ.** № 4;3, ღამ. 1 ს. 11 წ.

**ყარსისკენ: სახ.-საბ.** № 6;5, საღ. 8 ს. 10 წ.

**ბორჯომისაკენ: სახ.** № 9/10 6, ნაშ. 3 ს. 17 წ.

**ტფილისში მოდის.**

**ბაქოდან. ნარევ.** № 107, ღამ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 5, ნაშ. 3 ს. 46 წ. **საფ.** № 3, დილ. 9 ს. **ჩქარ.** № 1, საღ. 9 ს. 10 წ. **სახ.-საბ.** № 7, დილ 11 ს. 55 წ.

**ბათომიდან: სახ** № 12, დილ. 8 ს. 50 წ. **საფ.** № 4, ღამ. 11 ს. 32 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 56 წ. **ნარევ.** № 106, დილ. 5 ს. 15 წ.

**ერევნიდან: სახ.-საბ.** № 83;7, საღ. 5 ს. 28 წ.

**ყარსიდან: სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 1 ს. 28 წ.

**ჯულფიდან: სახ.** № 43, დილ. 8 ს.

**ბორჯომიდან: სახალ.** № 9|10 6, დილ. 11 ს. 22 წ.

**მიხაილოვოდან სურამში სახ.-საბარგ.** № 61, ღამ. 2 ს. 18 წ. **სახ.-საბ** № 63, დილ. 5 ს. 30 წ. **სახ.-საბ.** № 65, ნაშ. 12 ს. 48 წ. **სახ.-საბ.** № 67, ნაშ. 3 ს. 13 წ. **სახ.-საბ.** № 69, საღ. 7 ს. 53 წ. **სახ.-საბ.** № 71, საღ 9 ს. 20 წ.

**სურამ.-დან მიხაილოვში: სახ.-საბარ.** № 60, ღამ. 1 ს. 22 წ. **სახ.-საბ.** № 62, დილ. 4 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 64, დილ. 7 ს. 8 წ. **სახ.-საბ.** № 66, ნაშ. 1 ს. 15 წ. **სახ.-საბ.** № 68, საღ. 6 ს. 38 წ. **სახ.-საბ.** № 70, საღ. 8 ს. 26 წ.

**ქუთაისიდან რიონში: სახ.** № 77, დილ. 5 ს. 28 წ. **სახ.** № 79, დილ. 10 ს. 14 წ. **საბ.** № 81, ნაშ. 2 ს. 3 წ. **სახ.** № 83, ნაშ. 5 ს. 48 წ. **სახ.** № 85, ღამ. 11 ს. 58 წ.

**რიონიდან ქუთაისს: სახ.** № 76, დილ. 6 ს. 25 წ. **სახ.** № 78, დილ. 11 ს. 2 წ. **სახალ.** № 80, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ,** 82, საღ. 6 ს. 55 წ. **სახ** № 84, ღამ. 1 ს. 58 წ.

**ქუთაისიდან შორაპანს: სახალხო** № 29/30, ნაშ. 5 ს. 23 წ.

**შორაპნიდან ქუთაისს: სახ** № 27|28, დილ. 8 ს. 30 წ.

**ფოთიდან სამტრედ. და ქუთაისს: სახ.** № 26, დილ. 6 ს. 6 წ. **სახ.** № 4 п, დილ. 11 ს. 9 წ. **სახ.** № 6, საღ. 5 ს. 1 წ. **სახ.** № 8 п, საღამ. 9 ს. 10 წ.

**სამტრედიიდან ფოთში; სახ.** № 3 п, შუადღ. 1 ს. 57 წ. **სახ.** № 7 п. საღ 7 ს. 24 წ. **სახ.** № 5 п, საღ. 7 ს. 59 წ. **სახ.** № 25 п, ნაშ. 6 ს. 18 წ.

**ბათომ.-დან ქობულეთსა და ნატანებში: სახ.** № 18, ღამ. 1 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **საფ.** № 16, ნაშ. 2 ს. 58 წ.

**ქობულეთ.-დან ბათომს: სახ.** № 13, დილ. 7 ს. 4 წ. **სახ.** № 15, ღამ. 12 ს. 23 წ. **სახალხ.** № 17, ნაშ. 5 ს. 47 წ.

**ნატანებიდან ბათომს: სახ** № 17, ნაშუადღ. 5 ს. 20 წ.

**ბათუმიდან ქობულეთში. სახ.** № 18, ღამ. 11 ს. 13 წ. **სახ.** № 14, დილ. 5 ს. 43 წ. **სახ.** № 16, ნაშ. 2 ს 58 წ.

**ბათომიდან ნატანებს: სახ.** № 16, ნაშუადღ. 4 ს. 24 წ.

**მიხაილოვ.-დან ბორჯომს. სახ.** № 46, ნაშ. 3 ს. 8 წ. **სახ.** № 65, საღ. 9 ს. 14 წ. **სახ.** № 86, დილ. 5 ს. 25 წ.

**ბორჯომ.-დან მიხაილოვში: სახ.** № 36, ნაშ. 12 ს. 35 წ. **სახ.** № 55, დილ. 5 ს. 58 წ. **სახ.** № 76, ღამ. 12 ს. 41 წ.

**პირდაპირი მიმოსვლა გადაუჯდომლად.**

1) **ბათომიდან პეტერბურგამდე** გაივლის ნიკიტოვკას, კურსკს, მოსკოვს, არის ერთი მიქსტო-ვაგონი I—II კლასისა და 1—მესამე კლასის, მატარებლების №№ 1/11 და 2/12 ყველა ბილეთები პლაცკარტებით.

2) **ბათომიდან მოსკოვამდე.** გაივლის კოზლოვს და რიაზანს; 1 ვაგონი პირვ. კლასისა, 1 მეორისა და 3—მესამისა, მატარებლები №№ 5 და 6. I და II კლასი და მესამე კლასის ერთ ვაგონში ბილეთები პლაცკარტითაა, ხოლო მესამე კლასის ორ ვაგონში უპლაცკარტოდ.

3) **ტფილისიდან როსტოვამდე** ერთი ვაგონი I/II კლასისა, ერთიც მესამე კლასისა, მატარებელთა ნომრები 1 და 2.

4) **ტფილისიდან ჯულფა-ერევნისკენ** ერთი ვაგონი I/II კლ. და ერთიც მე-III კლას. მატარებლის ნომრები 3 და 4.


# ᲤᲔᲮᲡᲐᲪᲛᲔᲚᲔᲑᲘ

**ᲗᲝᲛᲐ Დ. ᲯᲐᲜᲧᲐᲠᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2. ყოველნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.



683.

**ᲡᲐᲒᲣᲠᲗᲐᲚᲝᲨᲘ**
**(ჩანიშვილის სახ.)**
**— ი ხ ს ნ ე ბ ა —**

# ᲐᲤᲗᲘᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲬᲧᲝᲑᲘ,

**სადაც მოიპოვება ყოველგვარი ნივთები.**

იქვე იმყოფება **ექიმი** და **ფერშალი.** ავადმყოფები მიიღება ყოველ-დღე 11½ ს. 1 ს.-დე.

**ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ**

# ᲐᲠᲩᲘᲚ ᲯᲝᲠᲯᲐᲫᲘᲡ ᲗᲮᲖᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ

| | | | |
|---|---|---|---|
| I ტ. | „ეროვნულ პრობლემის გარშემო" | ფასი | 75 კ. |
| II „ | „ჩვენი საზოგადოებრივობა" | „ | 80 კ. |
| III „ | „ნააზრევი" | „ | 65 კ. |
| IV „ | წერილები „ცნობის ფურც."-„მოამბ." 1901—1902 წ. | „ | 85 კ. |

# ᲘᲛᲔᲠᲣᲚᲘ ᲨᲐᲛᲞᲐᲜᲘᲣᲠᲘ

# Ღ Ვ Ი Ნ Ო Ე Ბ Ი,

**ᲤᲘᲚᲘᲞᲔ ᲜᲘᲙᲝᲚᲝᲖᲘᲡ ᲫᲘᲡ ᲭᲔᲚᲘᲫᲘᲡᲐ** ქუთაისში,

**„Კ Ო Ლ Ხ Ი Დ Ა" და „Თ Ა Მ Ა Რ Ა"**

მოიპოვება გასასყიდად ტფილისში:

1) **ვაგზლის ქუჩაზე, ზ. დ. თოიძის საგასტრონომიო მაღაზიაში** და
2) **მიხეილ. პროსპ. № 5, ა. ზ. ბერელაშვილის ღვინის საწყობში.**

**ფასები 1—20 კ. 1 50 მან.** ფირმა დაჯილდოვებულია რუსეთის გამოფენებზე ერთი ოქროსი და ოთხი ვერცხლის მედლებით. 660

**დიდი ხნის გამოცდილი მკერავი ქალი**

# ᲕᲚᲔᲑᲣᲚᲝᲑ ᲡᲐᲙᲔᲠᲐᲕᲡ

**ქალებისა და ბავშვების კაბებს.**

საქმეს ვაბარებ სუფთად, საჩქაროდ ძრიელ ნაკლებ ფასად აგრეთვე **ვიყვან შეგირდებს,** ვასწავლი მორიგების დაგვარად. **მისამართი ჭავჭავაძის ქუჩა № 12 ხომასურიძე.** 1603.

# ᲙᲣᲠᲡᲘᲡᲢᲘ ᲥᲐᲚᲘ

ადესის ქალთა უმაღლეს სასწავლებლისა, (გათავებული აქვს ტფილისის წმ. ნინოს სასწავლებელი),

✦● **ეძებს გაკვეთილებს.** ●✦

მისამართი წერილით: ვეძინის ქუჩა, № 16. **ე. რ. ინდუაშვილისას.** 1613

# ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ,

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის კიმში, **№ 34,** ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე ... იან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა და ... ახლეებს ყოველ დღე, დილის 1—2 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. მიკირტუმოვი.** 1037.

**საჭიროა არის მამული**

**ს ა ს ყ ი დ ლ ა დ**

**5 ათას დესეტინიდან 10 ათას დესეტინამდე.**

**მისამართი:** გოლოვინის პროსპექტი, სასტუმრო „უნივერსალი", № 2.

ვთხოვ დალალებს ნუ შესწუხდებიან. 828

# ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ ᲭᲠᲐ-ᲙᲔᲠᲕᲘᲡ ᲬᲘᲒᲜᲘ

თვით-მასწავლებელი 128 ნახატით, ახალი მეთოდი. ექვსი ნაწილი: ქართული, იმერული, ევროპიული, თეთრეული მანდილოსანთ და ბავშვთათვის. ჟურნალების მოხმარება შედგენილი და გამოც. **სოფიო ი. სიმონოვის მიერ.** ფასი 3 მ., გაგზავნით 3 მან. 50 კ. ვინც ათზე მეტს იყიდის ფოსტის გასაგზავნი არ გადახდება. წიგნის გამოწერა შეიძლება ფასდადებითაც.

მისამართი; Телавъ, школа кройки и шитья Соф. Іос. Симоновой. Бульварный пер., 2, соб. д. 3121

# ᲔᲥᲘᲛ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**Დ Ი Ლ Ი Თ:**

**„606" — 11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.
**ბ. გ. ტგახაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.
**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ა. ძ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინ. კანი საბავშვო და ყვავილის აცრა.
ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმ.

**Ს Ა Ღ Ა Მ Ო Თ Ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 **დოქტორი ბ. ა. ნ გასარდიანი.**



**მოითხოვეთ სწორი და მტკიცე საათი!**
**სხვა იაფ ფასიან საათებს ნუ გამოუდგებით!**
**კარგსაათს ყოველთვის შერჩება თავისი ღირებულება.**
✦ **პარიზის უკანასკნელი ახალი მოდა!** ✦

**საათი „ხ რ ო ნ ო მ ე ტ რ ი"-ს სისტემისა 5 მ. 25 კ.**

200 მანეთიან ოქროს საათის მაგიერ, გირჩევთ „ხ რ ო ნ ო მ ე ტ რ ს", რომელიც მოყვანილობითა და მოხდენილობით ოქროსას არ ჩამოუვარდება. „ხრონომეტრის" ლითონის კარგი ღირსებისა და მის გამძლეობაზე 10 წლის თავდებობას ვკისრულობთ, რადგანაც ელექტრონის საშუალებით მისი სახურავი დაფარულია 14% კარანტ ოქროს სქელ სევადით. ეს საათი ნამდვილი შვეიცარიულია ახალი ოქროსი, კაცებისა და ქალებისა ხუფიანი სამ სქელ სახურავიანი, იმართება თავის ბულით 40 საათში ერთხელ, მუშაობს წკრიალით, 15 ქვიანი, პრტყელი, როგორც სურათზე მოსჩანს, ძალიან გავრცელებულია და მთელ ევროპაში მოდებული. საათის ფასი 5 მ. 25 კ. 2 ცალი — 10 მ., 4 ცალი — 19 მ. 50 კ. ფასები ნაკლები დავადეთ, რადგანაც გვინდა ყველას შევაძლებინოთ მისი შეძენა. გასაგზავნი, ბაჟიანად, — 40 კ., (ციმბირში — 75 კ.) ყოველ საათს უფასოდ ვაყოლებთ მოხდენილ ნამდვილ ახალ ოქროს ძეწკვს სურვილისამებრ ორკეცს, ბრელოკით და ზამშის საათის ბუდით. საათს წუთი-წუთზე შესწორებულს ვგზავნით 6 წ. თავდებ. ფასდადებ. და უბეოდ.

| | |
|---|---|
| Берлинъ 35 Berlin | I. STRUMFELD Klosterstr. № 42. |

მისამართი შეიძლება ამოსჭრათ და მაგრად დააკრათ ღია წერილს ან კონვერტს. საათის დაბარება ყველა ენაზე შეიძლება. დახურ. წერილს 10 კ. მარკა სჭირდება ღია წერილს კი 4 კ. მეტლ. № 61483. 1579

**ᲒᲐᲛᲝᲡᲣᲚᲘᲐ ᲓᲐ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ**

**Ი. ᲒᲔᲓᲔᲕᲐᲜᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ** პიესა

# „Ბ Ა Მ Ც Ე Მ Ი"

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**მ უ ხ რ ა ნ ი ს კ ე რ ძ ო**

# Ს Ა Მ Კ Უ Რ Ნ Ა Ლ Ო

**საწოლი კრაოტებით.**

19 თელავის ქუჩა, იგივე რიყე, № 48, ახალ მუხრ. ხიდის პირდაპირ, **ტელეფ. № 370**

დასაწოლად ავადმყოფნი მიიღებიან ყოველ დროს, ხოლო გასასინჯად ფეხზე მოსიარულე ავადმყოფნი მიიღებიან დანიშნულ დროზე შემდეგ

| | ე ქ ი მ ე ბ ი ს მიერ: | დილით: |
|---|---|---|
| შინაგანი სნეულებანი, და ბავშვთა მოხრდილ. | **სპექტიორი გ. მ.** | 8½—9½ ს. |
| | **გაზაზოვი ა. ა.** | 10—11 ს. |
| | **იაშვილი ა. ო.** | 11—12 ს. |
| | **აბაკელია ი. კ.** | 12—1 ს. |
| | **ლოლობერიძე გ. მ.** | 12½—1½ ს. |
| საშარდ. სნეულებანი: | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| | **მელკონიანი გ. ა.** | 12—1 ს. |
| | **ჯაში ი. ი.** | 9½—10½ ს. |
| საშარდ. და ვენერ. სნეულ. | **გრიგორიანი ა. ი.** | 11—12 ს. |
| სნეულებ. საშოსი და საბებ. | ექ.-ქალ. **საყვარელიძე დ. გ.** | 11—12 ს. |
| | **ლოლობერიძე** | 12½—1½ ს. |
| სნეულ. ყურის, ყელის და ცხვ. | **შტრეიხერი მ. ა.** | 12 12½ ს. |
| ტვინის სნეულებ. | **შაპელნიკოვი გ. ი.** | 1½—2½ ს. |

ფასი გასინჯვისა 50 კ. საწოლი კრაოტი 3 მან. დღეში, ცალკე ოთახი 5 მან. ოპერაციები მორიგებით. **შეშხაპუნება წამლებისა „606" და „914",** ყვავილის აცრა, ელექტრონით წამლობა, ძიძის გასინჯვა, დაზელა (მასაჟი), მოწმობის შედგენა და სხვა, შეღავათიანი საფასურით. 1581

მიიღეთ საუკეთესო გემოს მარცვლოვანი,

**ქვირითის** (კეტოვ.) **ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ,**

თევზის მრეწველნი

**ᲫᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**
**Ტ Ე Ლ Ე Ფ Ო Ნ Ი № 712.**

1131

გამოსული ქერჩის

**ᲡᲔᲚᲘᲝᲢᲙᲔᲑᲘ.**

და ყოველგვარი

**კ ო ნ ს ე რ ვ ე ბ ი.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი სამრეწველოდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარალანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მოხარშული დოში, ზურგიელი,** და ყოველგვარი

✦ **Შ Ა Ვ Ი Ხ Ი Ზ Ი Ლ Ა Ლ Ა** ✦




1553